პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976
შაბათი
11
სექტემბერი
№ 214
(16644)
ფასი
2 კაპ.
1976

**საქართველოს სსრ პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირზე მიიღეს მეათე ხუთწლედის პირველი წლის გადიდებული სოციალისტური ვალდებულებები. რესპუბლიკაში წლის დამლევამდე წინათ გათვალისწინებული 135 მილიონი მანეთის ნაცვლად წარმოებული იქნება 170 მილიონი მანეთის ზეგეგმითი სამრეწველო პროდუქცია.**

# ყველა რეზერვი — ხუთწლედის სამსახურში

## საქართველოს სსრ პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირი

**საქართველოს სსრ პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირმა, რომელიც 9 სექტემბერს გაიმართა, განიხილა სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების 1976 წლის რვა თვის შედეგები და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ალმა-ათაში წარმოთქმული სიტყვის თვალსაზრისით.**

**თათბირის** მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ რესპუბლიკის ყველა კომუნისტი, მშრომელები უდიდესი ინტერესით სწავლობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის სიტყვას, რომელიც ყაზახეთის პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირზე წარმოთქვა. ეს სიტყვა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების შემოქმედებითი, თანამიმდევრული განვითარების ერთ-ერთი შესანიშნავი ნიმუშია. მას საპროგრამო ხასიათი აქვს და სახავს იმ ამოცანების გადაწყვეტის კონკრეტულ, პრაქტიკულ გზებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის მშრომელებს დაუსახა პარტიამ.

ამხანაგი ბრეჟნევი თავის გამოსვლაში მარტო სოფლის მეურნეობის პრობლემას არ ეხება. იქ ლენინური სიბრძნითა და გამჭრიახობით არის მოცემული სახალხო მეურნეობის სხვა წამყვანი დარგების თანამიმდევრული განვითარების სურათი, დასახულია მთელი სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი აღმავლობის ფუძემდებლური ამოცანები. სიტყვის ყოველ დებულებას, ყოველ თეზისს უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ეკონომიური, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც.

სწორედ ამიტომ ჩვენ ყველანი, აღინიშნა თათბირზე, ჩვენი ცხოვრების მაჯისცემას უნდა ვამოწმებდეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნების, იმ დებულებებისა და დასკვნების მიხედვით, რომლებიც ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ალმა-ათაში წარმოთქმულ სიტყვაში.

ჩვენმა რესპუბლიკამ მიმდინარე წლის დამდეგიდან წარმატებანი მოიპოვა ეკონომიკის განვითარებაში. რვა თვეში საქართველოს მრეწველობამ წარმოების მოცულობის გეგმა 102,4 პროცენტით შეასრულა, ზრდის ტემპმა 6,1 პროცენტი შეადგინა. შრომის ნაყოფიერების გეგმა 101,7 პროცენტით შესრულდა, ზრდამ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5,3 პროცენტი შეადგინა. ყოველივე ამან საშუალება მოგვცა გეგმის გადაჭარბებით 95 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია მიგვეღო.

რვა თვეში და აგვისტოში კარგ შედეგებს მიაღწიეს ისეთმა მსხვილმა საწარმოებმა, როგორიც არის ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი, რუსთავის მეტალურგიული და ქუთაისის საავტომობილო ქარხნები, ზესტაფონის ქარხანა „საქკაბელი", თბილისის გაერთიანება „ელმავალმშენებელი", ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელმა, მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროებმა და სხვ.

გაიზარდა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება და გაფართოვდა მისი ასორტიმენტი.

მაგრამ, როგორც თათბირზე აღინიშნა, რესპუბლიკის მრეწველობის საქმის ვითარების შეფასებისას საორიენტაციოდ უნდა მივიღოთ ის, რომ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებებით რესპუბლიკაში მრეწველობის პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპი ხუთწლედისათვის განსაზღვრულია 37-41 პროცენტი. ეს ნიშნავს, რომ პროდუქციის წარმოება ყოველწლიურად საშუალოდ 6,8-7 პროცენტით უნდა გაიზარდოს. მაგრამ მიმდინარე წლისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულება, რომელიც 135 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის გამომუშავებას ითვალისწინებს, ვერ უზრუნველყოფს ასეთ მატებას. ამიტომ თათბირის მონაწილეებმა ყოველმხრივ მოიწონეს იმ საწარმოთა, სამინისტროთა და უწყებათა კოლექტივების თაოსნობა, რომლებმაც გადაწყვიტეს ეკისრათ ისეთი დამატებითი ვალდებულებები, რომელთა შესრულება უკვე წლეულს საშუალებას მოგვცემს მივაღწიოთ ზრდის ტემპს, რომელიც მეათე ხუთწლედისათვის დასახულ პროგრამას შეესაბამება.

ამასთან დაკავშირებით თათბირზე აღინიშნა წარმოების უფრო სწრაფი ზრდის არსებული რეზერვები. ასეთი რეზერვია, კერძოდ, დაწინაურდეს ბევრი ჩამორჩენილი საწარმო, რომლებმაც ვერ შეასრულეს პროდუქციის წარმოების საერთო მოცულობის საგეგმო დავალება.

წარმოების ზრდის ტემპის დაჩქარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ კიდევ უფრო გაუმჯობესდეს სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია, ფართოდ და ყველგან გავრცელდეს ნოვატორთა გამოცდილება, ისეთი საყურადღებო თაოსნობები, როგორიც არის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის გიორგი კურტანიძის მეკოპეთა ბრიგადის ინიციატივა. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, ხაზგასმით აღინიშნა თათბირზე, რომ შევძლოთ პატრიოტული თაოსნობის არა მარტო შემჩნევა და მხარდაჭერა, არამედ მისი დანერგვაც სხვა უბნებზე და წარმოებებში, ადგილობრივი პირობების შესაბამისად; ამასთან ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში შეუწყნარებელია რაიმე ფორმალიზმი.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ყაზახეთის პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირზე თქვა: „აღმართი, რომელიც ჩვენ უნდა დავძლიოთ უახლოეს ხუთ წელიწადში, მე ვიტყოდი, საკმაოდ ციცაბოა".

ჩვენი რესპუბლიკის პირობებში ამ ციცაბო აღმართის დაძლევა იმას ნიშნავს, რომ განვავითაროთ სამრეწველო პოტენციალი, ამასთან ავითვისოთ კაპიტალური დაბანდება მრეწველობისა და მშენებლობის საწარმოების, სოფლის მეურნეობის, აგრეთვე მშრომელთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების განვითარებისათვის.

1975 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მიმდინარე წლის რვა თვეში კაპიტალური დაბანდების ათვისება გაიზარდა შვიდი პროცენტით, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები — ხუთი პროცენტით, საექსპლოატაციოდ გადაეცა ორჯერ მეტი საცხოვრებელი ფართობი, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებები, 1,7-ჯერ მეტი საავადმყოფო საწოლი. სასწავლო წლის დამდეგისათვის შესრულდა სასკოლო შენობების საექსპლოატაციოდ გადაცემის პროგრამა.

მაგრამ კაპიტალურ მშენებლობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია, არის გამოუყენებელი რეზერვები, რომელთა ამოქმედებამ შეიძლება მეტად მნიშვნელოვანი ნაყოფი გამოიღოს.

რეზერვები, კერძოდ, ის არის, რომ საჭიროა დავაჩქაროთ ძირითადი ფონდების ამოქმედება, უმთავრესად იმ გზით, რომ გაცილებით სრულად ავითვისოთ კაპიტალური დაბანდება.

თათბირის მონაწილეებმა განსაკუთრებული წუხილი გამოთქვეს საბინაო მშენებლობის საქმის ვითარების გამო. 1973 წლიდან მოყოლებული, რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციები გადაჭარბებით ასრულებენ საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემის წლიურ გეგმებს. ეს დადებითი მოვლენაა. მაგრამ, საცხოვრებელი ბინების ჩაბარების უზრუნველყოფის მიუხედავად, ისინი სისტემატურად ვერ ითვისებენ დიდ თანხებს. ეს კი ნიშნავს, რომ სწრაფად მცირდება საბინაო მშენებლობის მარაგნამეტი. ამასთანავე ეს ტენდენცია წლეულსაც იგრძნობა. თათბირზე აღინიშნა, რომ, განუხრელად ასრულებენ რა საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემის მიმდინარე გეგმებს, მშენებლებმა ყველა ორგანიზაციის დახმარებით, რომლებზეც ეს დამოკიდებულია, აუცილებლად უნდა გაადიდონ საცხოვრებელი ფართობის მარაგნამეტი: ამაზე ხომ დამოკიდებულია უმნიშვნელოვანეს უბანზე შემდგომი მუშაობის წარმატება.

საბინაო მშენებლობის სახსრების ათვისების საკითხს შეუნელებელ კონტროლს უნდა უწევდნენ პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტები, სამშენებლო ტრესტების, აგრეთვე სამრეწველო საწარმოების და შემკვეთი საწარმოების პარტიული კომიტეტები. წლის დამლევამდე დარჩენილი ოთხი თვის მანძილზე თვითეულ ორგანიზაციაში უნდა გაორკეცდეს საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრების ათვისება წინა თვეებთან შედარებით. მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს დადგენილი ოდენობით საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემა, აგრეთვე 1977 წლის 1 იანვრიდან საცხოვრებელი ფართობის თანაბარი გადაცემის საჭირო მარაგნამეტის შენარჩუნებაც. ეს პროგრამა რთულია, ითქვა თათბირზე, და მისი რეალიზაციისათვის ყველა რეზერვი უნდა ავამოქმედოთ.

ორატორებმა სერიოზული ყურადღება დაუთმეს როგორც სამრეწველო დანიშნულების ობიექტების, ისე ჯანმრთელობის დაცვის, სკოლამდელთა დაწესებულებების მშენებლობას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ალმა-ათაში წარმოთქმულ სიტყვაში მოყვანილია ნათელი ფაქტები, რომლებიც მოწმობს ჩვენი სოფლის მეურნეობის ძალას, მისი მშრომელების თავდადებას, წლეულს ასეთი რთული ამინდის პირობებში რომ მოიყვანეს და იწევენ მთლიანად მარცვლეულის უხვ მოსავალს.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა სოფლის მეურნეობაში მოპოვებული წარმატებები და ამასთან პირდაპირ და გულახდილად მიგვითითა არსებულ ნაკლოვანებებზე, რომელთა გადაჭრით დაძლევა შესაძლებლობას მოგვცემს ჩვენი სოფლის მეურნეობა დავიცვათ ამინდის ჭირვეულობის ზემოქმედებისაგან.

ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარე წლის დაგვიანებული გაზაფხულის გამო საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები ჩვეულებრივზე სულ ცოტა ერთი თვით გვიან დაიწყო. თებერვალ-მარტში ტემპერატურის მკვეთრმა ცვალებადობამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ვენახებსა და ხილის ბაღებს, გაზაფხულის სუსხმა ზოგიერთ რაიონში დააზიანა კარტოფილის ნათესები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ განხორციელებულმა საგანგებო ღონისძიებებმა, შრომითი და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მობილიზაციამ, ამ რესურსებით ოპერატიულმა მართვამ, სოფლის კომუნისტთა, სოფლის ყველა მშრომელის თავდადებულმა მუშაობამ შესაძლებლობა მოგვცა ძირითადად დაგვეძლია წარმოქმნილი სიძნელეები.

ამის შედეგად რესპუბლიკის მეტმა წილმა რაიონებმა მაქსიმალურად გამოიყენეს კარგი ამინდები და ორგანიზებულად დათესეს საგაზაფხულო კულტურები. წინა წლებთან შედარებით უკეთ და მეტი მინერალური სასუქები გამოიყენეს, უფრო ეფექტიანად მოქმედებდნენ მცენარეთა დაცვის სამსახურები. ყოველივე ეს იმის წანამძღვარი იყო, რომ წლეულს რესპუბლიკას მოეწია მარცვლეულის რეკორდული მოსავალი — საშუალოდ 24 ცენტნერი ჰექტარზე, რაც ექვსი ცენტნერით მეტია, ვიდრე შარშან. წინასწარი გამონაგარიშება მოწმობს, რომ წლეულს რესპუბლიკა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულებს საგეგმო დავალებებს. მარცვლეული კულტურების მოსავლიანობით მარცვლეულის წარმოებასა და დამზადებაში ჩინებული მაჩვენებლები აქვთ წითელწყაროს, სიღნაღის, საგარეჯოს, გორის, მარნეულის, ახმეტის, გარდაბნისა და ზოგიერთი სხვა რაიონის მეურნეობებს.

ამასთანავე თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ჯერ კიდევ ყველა რაიონი და მეურნეობა არ ეწევა მარცვლეული კულტურების მოვლა-მოყვანას მაღალ აგროტექნიკურ დონეზე.

რესპუბლიკის ქალაქებისა და კურორტების მშრომელთა სურსათით უზრუნველყოფაში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ მეკარტოფილეობისა და მებოსტნეობის მეურნეობები. მიმდინარე წლის რვა თვეში თბილისისა და რუსთავის სავაჭრო ქსელმა მიიღო მეტი კარტოფილი და ბოსტნეული, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. ახლა აუცილებელია მოკლე ვადაში ორგანიზებულად და უდანაკარგოდ მოეწყოს კარტოფილის ამოღება და დამზადება მის მომყვან ძირითად რაიონებში. ამ რაიონების პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოები მოვალენი არიან ყოველი ღონე იხმარონ, რათა უზრუნველყონ კარტოფილის საზამთროდ შენახვისათვის დაბინავების დავალებათა შესრულება, რაც შესაძლებლობას მოგვცემს დავაკმაყოფილოთ თბილისის, რუსთავის, აგრეთვე რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და კურორტების მოთხოვნილება ამ დიდმნიშვნელოვან სურსათზე.

მნიშვნელოვნად უნდა გააძლიერონ ბოსტნეულის დამზადების ტემპი სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, მისმა აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანებამ, აგრეთვე ცეკავშირმა, რომლებსაც ბოსტნეულის დამზადება-რეალიზაციის ამოცანების გადაწყვეტა აკისრიათ.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ რესპუბლიკა წარმატებით შეასრულებს ყველა დავალებას, მათ შორის ჩაისა და ციტრუსის დამზადების დამატებით ვალდებულებასაც.

უკვე დაიწყო რთველი, გაჩაღებულია ხილის კრეფა. მევენახეობისა და მეხილეობის რაიონების ამოცანაა საუკეთესო ვადებში და უდანაკარგოდ აიღონ მთელი მოსავალი, ამასთან საიმედოდ აღკვეთონ პროდუქციის დატაცებისა და განიავების შემთხვევები.

ამჟამად ჩაღდება მუშაობა, რათა ნიადაგი და თესლი მომზადდეს საშემოდგომო თესვისათვის, იწყება აგრეთვე მზრალად ხვნა. ეს მუშაობა, ხაზგასმით აღინიშნა თათბირზე, საჭიროა მოეწყოს უაღრესად გულდასმით, ორგანიზებულად — მასზე ხომ მომავალი მოსავლის ბედია დამოკიდებული.

თათბირის მონაწილეებმა გააანალიზეს რესპუბლიკაში მეცხოველეობის განვითარების რვა თვის შედეგები და კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ ფერმების მშრომელები და საკვების დამამზადებლები ძირითადად ორგანიზებულად ეწევიან მუშაობას, საიმედო ბაზას უქმნიან საზოგადოებრივი პირუტყვის მომავალ ზამთრობას. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით შვიდი ათასით გაიზარდა. რძის წარმოებამ 200 ათასი ტონა შეადგინა, რაც შარშანდელ დონეს სამი ათასი ტონით აღემატება. დარგში ბევრი სხვა წარმატებაც არის მოპოვებული. ამასთანავე ზოგიერთმა რაიონმა გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით გააუარესა მაჩვენებლები.

გარკვეული წარმატება მოიპოვეს ტრანსპორტის მუშაკებმაც. ივლის-აგვისტოში ამიერკავკასიის რკინიგზა უფრო სტაბილურად უზრუნველყოფდა ტვირთზიდვის და მგზავრთა გადაყვანის გეგმის შესრულებას. ამის შედეგად რკინიგზამ წინა პერიოდის ჩამორჩენა გამოასწორა და გადაზიდვა-გადაყვანის გეგმა შეასრულა.

ტვირთზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის რვა თვის გეგმა საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სისტემაში შესრულდა და გასული წლის შესაბამის პერიოდს ექვსი პროცენტით აღემატება. საქართველოს საზღვაო სანაოსნომ აგრეთვე შეასრულა ყველა ძირითადი საგეგმო მაჩვენებელი.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის რვა თვის გეგმა შესრულდა. ზრდის ტემპმა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5,2 პროცენტი შეადგინა.

რესპუბლიკაში შესრულდა საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის რვა თვის გეგმა. მაგრამ ცალკეულ ორგანიზაციათა მუშაობაში ჯერ კიდევ არ არის დაძლეული სიძნელეები.

საქმიანობას აუმჯობესებს მთავარმომარაგების სამმართველო. ზოგიერთი ძირითადი სახეობის მატერიალური რესურსები გეგმის გადაჭარბებით არის მიწოდებული. მაგრამ ეს არ ვრცელდება ბევრ სხვა სახეობაზე. როგორც თათბირზე აღინიშნა, მთავარმომარაგებამ გულდასმით უნდა გააანალიზოს მატერიალური რესურსების აუთვისებლობის მიზეზები და განახორციელოს მათი აღმოფხვრის ღონისძიებები.

თათბირზე დიდი ყურადღება დაუთმეს ზამთრის პირობებში მუშაობისათვის მზადებას. ამ საკითხში არსებული ნაკლოვანებები შარშან ზამთარში საგრძნობლად გამოვლინდა.

თავის სიტყვაში ყაზახეთის პარტიულ-სამეურნეო აქტივზე ამხანაგმა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა მეტად დამაჯერებელი შედარება მოიყვანა, როცა თქვა: „ფრონტელებს მოეხსენებათ, რომ, როცა შეტევა მზადდება, სავარაუდოდ შესაძლო ვარიანტებიდან ყველაზე ძნელს იღებენ ხოლმე. ასე უნდა მოვიქცეთ სოფლის მეურნეობაშიც, წინასწარ მოვემზადოთ ბუნების ყოველგვარი ჭირვეულობისათვის". სწორი იქნება, თუ პარტიული კომიტეტები სპეციალურად განიხილავენ ამ საკითხებს თავიანთ სხდომებზე, გამოიტანენ შესაბამის დასკვნებს და განახორციელებენ ჯეროვანი წესრიგის დამყარების ქმედით ღონისძიებებს.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ უნდა გავაკრიტიკოთ არა მარტო ისინი, ვინც გეგმის შესრულებას შლის, არამედ ისინიც, ვინც არ იყენებს თავის შესაძლებლობებს წარმოების განვითარებისათვის. ამ მითითების შესაბამისად თათბირის მონაწილეებმა მკაცრად, მაგრამ სამართლიანად გააკრიტიკეს რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა ბევრი ისეთი ხელმძღვანელი, რომლებიც საკმაო დაინტერესებასა და ინიციატივას არ იჩენენ ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლების ზოგიერთი დიდმნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტაში, თავიანთი მუშაობის აგებისას არ ითვალისწინებენ პერსპექტივებს, არსებითად, არ იციან და არც სწავლობენ პროგნოზირებას, პროგრამირებას საკმაოდ შორეული მომავლისათვის.

თავის სიტყვაში პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირზე ალმა-ათაში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი, რომ მთლიანად ქვეყნის ეკონომიური განვითარება საბოლოო ანგარიშით დამოკიდებულია მრავალმილიონიანი მასების შრომით აქტივობაზე, იმაზე, თუ როგორ მუშაობს ყველა კომუნისტი, მთელი პარტია.

ჩვენი სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულების ორგანიზაციულ-პოლიტიკური უზრუნველყოფა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის მთავარი ამოცანა უნდა გახდეს.

ჩვენ შესანიშნავად გვესმის, აღნიშნეს თათბირის მონაწილეებმა, რომ ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა წარმატებით შესრულება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ ეკონომიურ ამოცანებს შეესაბამება ორგანიზაციულ-პოლიტიკური მუშაობის დონე. ამ მხრივ რესპუბლიკაში არიან როგორც მოწინავე, ისე ჩამორჩენილი ორგანიზაციებიც. მათ შორის განსხვავება ვლინდება, მაგალითად, სოციალისტური დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის რუსთაველთა თაოსნობის გავრცელების პროპაგანდაში. აქა-იქ ამ საქმეს, რომელსაც რესპუბლიკისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, ზერელედ, ფორმალურად მიუდგნენ. თანაც ზოგიერთი ხელმძღვანელი სუსტ ორგანიზატორულ მომზადებას, სერიოზული ამოცანების გადაწყვეტაში ნაკლებ კომპეტენტურობას იჩენს.

ამასთან დაკავშირებით თათბირზე აღნიშნეს: განვითარების ახლანდელ ეტაპზე უნდა მივაღწიოთ, რომ ყველა ხელმძღვანელ პოსტზე კომპეტენტური, ნიჭიერი ორგანიზატორები იყვნენ, რომლებიც საქმიანად, კონკრეტულად მიუდგებიან მეათე ხუთწლედის — ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედის ამოცანების გადაწყვეტას. ეს ჩვენ, თქვეს თათბირზე, უნდა ვისწავლოთ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისაგან, რომლის სიტყვა ალმა-ათაში დიდმნიშვნელოვანი პრობლემებისადმი ღრმად საქმიანი, პრინციპული მიდგომის ბრწყინვალე ნიმუშია. ყველგან სერიოზულად და ყოველმხრივ უნდა შევისწავლოთ ეს სიტყვა.

ახლა რესპუბლიკის ყველა შრომით კოლექტივში უდიდესი აღმავლობა იგრძნობა, რომელიც საქართველოს პარტორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ გამოიწვია. ეს აღმავლობა, აღინიშნა თათბირზე, მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ, მასების ენერგიის მოზღვავება კონკრეტულ საქმედ, თვითეულ სამუშაო ადგილას პოზიტიურ შედეგად უნდა ვაქციოთ. კიდევ უფრო უნდა გავზარდოთ თვითეული პარტიული ორგანიზაციის, ყველა კომუნისტის მებრძოლურობა, წავახალისოთ და მხარი დავუჭიროთ დისციპლინის დამრღვევთა მიმართ შეურიგებლობას. ხუთწლედის პირველი წლის წარმატებით დამთავრებისათვის საყოველთაო ლაშქრობა უნდა გადაიქცეს კომპლექსურ ლაშქრობად, რომლის დროს მუშაობაში გამოვიყენებთ პარტიაში მიღებულ ყველა ფორმასა და მეთოდს.

რჩევასა და რეკომენდაციებს, რომლებსაც ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის სიტყვა შეიცავს, უდიდესი პრინციპული მნიშვნელობა აქვს იდეოლოგიური მუშაობის სრულყოფისათვის. ამასთან დაკავშირებით დიდმნიშვნელოვანი ამოცანები დგება რესპუბლიკის იდეოლოგიური ფრონტის მუშაკების წინაშე.

ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა და საქართველოს პარტორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მათი პრაქტიკული განხორციელების ფასდაუდებელი დამაკავშირებელი რგოლია, განაცხადეს პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირის მონაწილეებმა.

---

**აქტივის თათბირზე მიიღეს მეათე ხუთწლედის პირველი წლის გადიდებული სოციალისტური ვალდებულებები. რესპუბლიკაში წლის დამლევამდე წინათ გათვალისწინებული 135 მილიონი მანეთის ნაცვლად წარმოებული იქნება 170 მილიონი მანეთის ზეგეგმითი სამრეწველო პროდუქცია; (საქინფორმი).**

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**ამხ. ი. ვ. ანდროპოვისათვის არმიის გენერლის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მიენიჭოს ამხ. იური ვლადიმერის-ძე ანდროპოვს არმიის გენერლის მორიგი სამხედრო წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე

მოსკოვი, კრემლი.
1976 წლის 10 სექტემბერი.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**ამხ. ნ. ო. შჩოლოკოვისათვის არმიის გენერლის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მიენიჭოს ამხ. ნიკოლოზ ონისიმეს-ძე შჩოლოკოვს არმიის გენერლის მორიგი სამხედრო წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე

მოსკოვი, კრემლი.
1976 წლის 10 სექტემბერი.

10 სექტემბერი

## „პრავდის" ფურცლებზე

როგორც „კომუნისტის" მკითხველებმა იციან, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „სოფლის მეურნეობის მეცნიერების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლებისა და წარმოებასთან მისი კავშირის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ". „პრავდამ" ეს დადგენილება გუშინ პირველ და მეორე გვერდებზე გამოაქვეყნა.

საპროექტო სიმძლავრეების დროული ათვისების, მოწყობილობის უფრო სრული გამოყენების პრობლემა, — წერს უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ო. ავილოვი, — ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა დღეს, მას უშუალო დამოკიდებულება აქვს სახალხო მეურნეობის მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებასთან. პარტიული მუშაკებისათვის, რომლებიც პასუხს აგებენ უმნიშვნელოვანესი ქიმიური წარმოებების განვითარებისათვის, ეს კიდევ იმიტომაც არის გასაგები, რომ სწორედ აქ ისახება შემოქმედებითი ძიების, საწარმოო ფონდების მაქსიმალური გამოყენებისათვის მშრომელთა დარაზმვის უდიდესი შესაძლებლობები („მშენებლობები მოწყობილობას ელიან").

„1976 წლის 22 აგვისტოს „ლუნა-24" ავტომატური სადგურის დასაბრუნებელი აპარატი დაჯდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიის გათვალისწინებულ რაიონში. დედამიწაზე ჩამოტანილია დაახლოებით 2 მეტრი სიღრმიდან აღებული მთვარის გრუნტის ნიმუშები". საქდესის ამ მოკლე ცნობის მიღმა იმალება ჩანაფიქრით გაბედული და შესრულების თვალსაზრისით რთული ექსპერიმენტი მთვარეზე ავტომატური სიღრმული ბურღვისა და აღებული გრუნტის ჩვენს პლანეტაზე ჩამოტანისათვის. („ლუნა-24": ჩვენი კომენტარი").

გაზეთი აქვეყნებს ფ. კუზნეცოვის ლიტერატურულ შენიშვნებს — „ადამიანზე ფიქრით".

**ჩვენი ლიტერატურისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, — ნათქვამია ფ. კუზნეცოვის წერილში, — რომ სკკპ XXV ყრილობაზე დაისვა კომუნისტური აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომის, იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის დიალექტიკური ერთიანობის აუცილებლობის საკითხი. ამ სამი სფეროდან თითოეული ფასდაუდებელ როლს ასრულებს, თითოეული მათგანი შედარებით დამოუკიდებელია, მაგრამ ამასთანავე განუყრელად არის დაკავშირებული სხვებთან. ამის დავიწყება, ვთქვათ, შრომითი აღზრდის შეუფასებლობა, ხშირად იმ სავალალო შედეგის მიზეზია, როცა ადამიანი ჩვენს პოლიტიკასა და ჩვენს პრინციპებს იცნობს, პრაქტიკულად კი მათი განხორციელებისათვის ბრძოლას არ ცდილობს. მის სულში ცოდნა რწმენად არ ქცეულა, პრაქტიკულ საქმე არ გამხდარა.**

სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა, — განაგრძობს ავტორი, — ისევე როგორც მისი გმირი, სოციალური აქტივობის პათოსით არის აღბეჭდილი. ზნეობრივ აღზრდაში უდიდესია მისი როლი და მნიშვნელობა. რევოლუციური ჰუმანიზმის პოზიციებიდან იგი ადამიანებს უღვივებს საზოგადოებრივ აზრსა და მოქალაქეობრივ სინდისს, სიტყვისა და საქმის ერთიანობისადმი, კომუნისტური იდეალებისათვის აქტიური ბრძოლისადმი მისწრაფებას, და ამ გზებზე ეხმარება მათ შეიცნონ არსებობის დიადი აზრი.

**გუშინ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაიწყო ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების ერთობლივი წვრთნა. წვრთნაში მონაწილეობენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის ჯარის, საბჭოთა არმიისა და ჩეხოსლოვაკიის სახალხო არმიის სახმელეთო ჯარებისა და სამხედრო-საჰაერო ძალების ტაქტიკური შენაერთები და ქვეგანაყოფები — სულ 35 ათასამდე კაცი („მოძმე არმიების წვრთნა „ფარი-7").**

ПРАВДА

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომის საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ**

„სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის სახელმწიფო კომიტეტის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და სოციალური საკითხების საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 17 აგვისტოს ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გარდაიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომის საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი

თბილისი, 1976 წლის 10 სექტემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**ამხ. რ. ა. ჯაფარიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. რუსუდან ალექსანდრეს ასული ჯაფარიძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი

თბილისი, 1976 წლის 10 სექტემბერი.

## საბჭოთა სამხედრო დელეგაცია პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ჩავიდა

**ვარშავა.** 10 სექტემბერი. (საქდესი). პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრის, არმიის გენერლის ვ. იარუზელსკის მოწვევით დღეს ვარშავაში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა საბჭოთა სამხედრო დელეგაცია, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი დ. თ. უსტინოვი მეთაურობს.

აეროპორტში დელეგაციას დახვდნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი, არმიის გენერალი ვ. იარუზელსკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ს. კანია, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი რ. ფრელეკი და სხვა ოფიციალური პირნი.

დამხვდურთა შორის იყო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის ელჩი ს. ა. პილოტოვიჩი.

იმავე დღეს დ. თ. უსტინოვი და დელეგაციის წევრები ეწვივნენ ვ. იარუზელსკის. შემდეგ მათ გვირგვინებით შეამკეს უცნობი ჯარისკაცის საფლავი და ვარშავის განთავისუფლებისათვის დაღუპული საბჭოთა მეომრების მემორიალური სასაფლაო-მავზოლეუმი.

## დაჯილდოება

**საქართველოს** სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 10 სექტემბრის ბრძანებულებებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

ამხ. გივი ბენიამინის-ძე **ხომერიკი** — სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის პასუხისმგებელი მდივანი, — პარტიულ, კომკავშირულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით.

მწერალი-დრამატურგი გიორგი (გერმანე) მიხეილის-ძე **ხუხაშვილი**, — ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით.

## საპატიო წოდებების მინიჭება

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 10 სექტემბრის ბრძანებულებით სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კადრების მომზადებაში დამსახურებისათვის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მასწავლებლებს მიენიჭათ საპატიო წოდება:**

**საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის:**

**ნაციაშვილს** სიმონ იოსების-ძეს — დოცენტს.

**საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის:**

**გიგაურს** თეიმურაზ ლევანის-ძეს — დოცენტს.

**გომართელს** ანზორ გაიოზის-ძეს — დოცენტის მოვალეობის შემსრულებელს.

**გიორგობიანს** ვახტანგ ალექსანდრეს-ძეს — კათედრის გამგეს.

**გურასპაშვილს** გურამ ნიკოლოზის-ძეს — ფაკულტეტის დეკანს.

**თურქიას** რენო ვალერიანის-ძეს — დოცენტს.

**კაშიანს** სერგო ამაიაკის-ძეს — დოცენტს.

**მეტრეველს** რევაზ მაქსიმეს-ძეს — სწავლების ოსტატს.

**მიზანდარს** გივი ვალერიანის-ძეს — ფაკულტეტის დეკანს.

**მეიძეს** ლევან დავითის-ძეს — პროფესორის მოვალეობის შემსრულებელს.

**ტუჩაშვილს** მიხეილ ვლადიმერის-ძეს — კათედრის გამგეს.

**ქობალიას** ლუზა გრიგოლის-ძეს — დოცენტის მოვალეობის შემსრულებელს.

**ლოლობერიძეს** ნოდარ ევსევის-ძეს — კათედრის გამგეს.

**ცუცქირიძეს** რევაზ ალექსანდრეს-ძეს — დოცენტის მოვალეობის შემსრულებელს.

**წულაძეს** გოჩა გრიგოლის-ძეს — უფროს მასწავლებელს.

**ხალათოვს** გიორგი ალექსანდრეს-ძეს — უფროს მასწავლებელს.

**საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორის:**

**ქუთათელაძეს** ტარიელ აპოლონის-ძეს — ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს.

**ჯობაძეს** ნოდარ დიმიტრის-ძეს — უფროს მასწავლებელს.

**საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის:**

**თუხარელს** არჩილ დავითის-ძეს — კათედრის გამგეს.

**საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის:**

**ნაცვლიშვილს** შალვა ონისიმეს-ძეს — უფროს მასწავლებელს.

## მოგზაურობენ ჩვენს ქვეყანაში

**10 სექტემბერს** თბილისიდან ლენინგრადს გაემგზავრა ბელგიის პარლამენტის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარე ანდრე დიკუა. ბელგიელი პარლამენტარები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით ოფიციალური ვიზიტით იმყოფებიან საბჭოთა კავშირში.

ბელგიის პარლამენტის დელეგაცია ორი დღის განმავლობაში ეცნობოდა რესპუბლიკის ცხოვრებას. (საქინფორმი).

10 სექტემბერი

# მსოფლიოს ამბები

საქდესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იუწყებიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოლიდარობა ჩილელ ხალხთან

## ვიხსნათ ჩილელ პატრიოტთა სიცოცხლე

**გაავრცელეს ჩილეს კომპარტიის განცხადება**

**სენატორ ე. კენედის გამოსვლა სენატში**

ჰავანა. აქ გაავრცელეს ჩილეს კომპარტიის განცხადება, რომელშიც გამოთქმულია სერიოზული შეშფოთება უკანასკნელი თვეების მანძილზე პინოჩეტის საიდუმლო პოლიციის მიერ დაპატიმრებული ჩილელი პატრიოტების ბედის გამო. ფაშისტური ხუნტა მიმართავს ახალ პროვოკაციებს, აპირებს მოსპოს წამების ცენტრებში მყოფი ყველა ჩვენი ამხანაგი. ყველა ისინი ოფიციალურად შეტანილი არიან „უგზოუკვლოდ დაკარგულთა" სიებში, ნათქვამია დოკუმენტში. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ვიქტორ დიასის, მარიო სამორანოს, ხოსე ვაიზელის, ხორხე მუნიოსის, ბერნარდო არაიას ბედი, რომელთა დაპატიმრებას, მოწმეთა განცხადებების მიუხედავად, ხუნტა უარყოფს და ამტკიცებს, რომ თითქოს „მათ მიუტოვებიათ ქვეყანა". მათ მხოლოდ ფაშისტური რეჟიმის ზრახვების წინააღმდეგ პროტესტის მძლავრი და ენერგიული კამპანია გადაარჩენთ.

ჩვენ, აღნიშნავს კომპარტია, მსოფლიო საზოგადოებრიობას მოვუწოდებთ განახორციელოს სასწრაფო ღონისძიებანი ხუნტაზე ზემოქმედების მოსახდენად, აგრეთვე იმოქმედოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, მთავრობების, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამოსვლების საშუალებით, უნდა მივაღწიოთ, რომ სიცოცხლე არ მოუსწრაფონ ჩილელ პატრიოტებს, დაითხოვონ ეროვნული სადაზვერვო სამმართველო და გააუქმონ საალყო წესები ჩილეში.

ვაშინგტონი. ჩილეს ხუნტა კვლავ მხეცურად უსწორდება პატრიოტებს. რეპრესიების ამ კამპანიაში განსაკუთრებული როლი ეთმობა საიდუმლო პოლიციას — ეროვნულ-სადაზვერვო სამმართველოს. სენატორმა ე. კენედიმ ეს ორგანიზაცია ფაშისტთა გესტაპოს შეადარა.

7 ათასი სამხედრო მოსამსახურე, 5 ათასი სამოქალაქო „თავისუფლად დაქირავებული", 8 ათასი მთავარი ინფორმატორი ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ — ასეთია ამერიკის პრესის მონაცემებით, ჩილეს საიდუმლო პოლიციის შტატი, რომელიც მხოლოდ ხუნტის მეთაურს პინოჩეტს აბარებს ანგარიშს. ბევრი მათგანი მომზადეს პენტაგონის სკოლებში ტეხასის შტატში და პანამის არხის ზონაში.

1973 წლის სექტემბრიდან ჩილეში მოხდა 90 ათასზე მეტი დაპატიმრება, ამასთან მათი 95 პროცენტი, როგორც „ბოსტონ გლობი" წერს, უკანონოა თვით ხუნტის მიერ შემოღებული „კანონების" თვალსაზრისითაც.

ჩილეს ხუნტა, განაცხადა სენატში გამოსვლის დროს ე. კენედიმ, არღვევს საშინაო და საერთაშორისო კანონებს, დევნის ათასობით უდანაშაულო ჩილელს. პატიმართა აბუჩად აგდებას, წამებას, უკანონო დაპატიმრებებს, აღნიშნა მან, ჩილეს გესტაპო იყენებს ხალხის დასაშინებლად და ხუნტის პოლიტიკისადმი ყოველგვარი ოპოზიციის ჩასახშობად.

ამერიკელი ხალხი, ხაზი გაუსვა სენატორმა, მოითხოვს, რომ შეერთებულმა შტატებმა დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ფაშისტური დიქტატურისათვის მხარდაჭერა.

(საქდესი).

საქდესი

## ტელეტაიპის ლენტიდან

### რასისტთა თარეში

● **ნიუ-იორკი.** პოლიციელთა სირენების გუგუნით, მინების მსხვრევით, გაცოფებულ რასისტთა ღრიალით ჩაიარა სასწავლო წლის პირველმა დღემ ქალაქ ბოსტონში (მასაჩუსეტსის შტატი).

პოლიციის გაძლიერებული რაზმები გამოჰყვეს იმისათვის, რომ ზანგი მოსწავლეები ბოსტონის „შავკანიანთა უბნებიდან" „თეთრკანიანთა სკოლებში" გადაეყვანათ.

200-ზე მეტი რასისტი შეიკრიბა „თეთრკანიანთა სკოლის" ფანჯრებს ქვეშ ჩარლსტონის რაიონში, ემუქრებოდა ზანგ მოსწავლეებს. სკოლიდან გაძევებულ ხულიგანთა ბრბომ ქვა და ბოთლები დაუშინა ზანგთა უბნის საცხოვრებელ სახლებს.

### პროგრესული ძალების წარმატება

● **ვაშინგტონი.** დიდ წარმატებას მიაღწია ამერიკის შეერთებული შტატების პროგრესულმა საზოგადოებრიობამ. მისმა ხანგრძლივმა და მტკიცე ბრძოლამ აიძულა ფედერალური ხელისუფალნი მთავრობის დაწესებულებათა სისტემაში შრომითი მოწყობისათვის საჭირო ანკეტებიდან ამოეღოთ კითხვები, რომლებიც ამერიკელთა პოლიტიკურ მრწამსს შეეხება.

ეს კითხვები, რომლებიც 1953 წელს შეიტანეს ანკეტებში, ამერიკელ კომუნისტებს და სხვა პროგრესულ ორგანიზაციათა წევრებს არა მარტო ართმევდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დაწესებულებებში მუშაობის საშუალებას, არამედ აგრეთვე მათი დევნის ფართო შესაძლებლობას აძლევდა რეაქციას.

### ფასების ზრდა გრძელდება

● **სტოკჰოლმი.** შვეციაში გრძელდება სურსათის ფასების ზრდა. 1975 წლის ივნისიდან მიმდინარე წლის ივლისამდე, შვეციის დეპეშათა ბიუროს მონაცემების თანახმად, ქვეყანაში სურსათი საშუალოდ 7 პროცენტით გაძვირდა. ამავე პერიოდში 11 პროცენტით გაძვირდა ძროხისა და ღორის ხორცი, 17 პროცენტით — პურ-ფუნთუშეული.

### ხელი მოაწერეს შეთანხმებას

● **ლუანდა.** აქ ხელი მოაწერეს სამთავრობათაშორისო შეთანხმებას, რომ საბჭოთა კავშირმა ანგოლის სახალხო რესპუბლიკას კომერციულ საფუძველზე მიაწოდოს სხვადასხვა ტიპის თვითმფრინავები სამოქალაქო ავიაციისათვის, მათ შორის — „იაკ-40", „ან-26", „ტუ-134".

## სახიფათო გარიგება

**ვაშინგტონი, (საქდესი). თელ-ავივი, რომელსაც აქეზებს შეერთებული შტატები, აჩქარებს თავისი კავშირის განმტკიცებას სამხრეთაფრიკელ რასისტებთან დიპლომატიურ, სავაჭრო-ეკონომიურ და სამხედრო დარგში.** როგორც ამერიკის პრესა მოწმობს, ისრაელში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ფორსტერის ვიზიტის დროს მიღწეული შეთანხმების შესაბამისად, ორივე ქვეყანამ იკისრა ვალდებულება ყოველნაირად დაუჭირონ მხარი ერთმანეთს საერთაშორისო ორგანიზაციებში. ერთობლივი მოქმედების კოორდინაციისათვის შეიქმნა მთელი რიგი სამთავრობათაშორისო კომისიები და საკონსულტაციო საბჭოები.

უკანასკნელი 4 წლის მანძილზე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან ისრაელის ვაჭრობის მოცულობა სამჯერ გაიზარდა.

**ტელ-ავივი აჩქარებს კავშირის განმტკიცებას სამხრეთ-აფრიკელ რასისტებთან**

□

მაგრამ სიონისტურ-რასისტული ალიანსის საფუძველია სამხედრო თანამშრომლობა, რომელიც მტკიცდება იმასთან დაკავშირებით, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მოსახლეობამ გააქტიურა ბრძოლა აპარტეიდის დანაშაულებრივი რეჟიმის წინააღმდეგ. ისრაელის მოწოდებანი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში არ შემოიფარგლება, როგორც წინათ, საბრძოლო იარაღით, არამედ შეიცავს აგრეთვე ჩქაროსნულ სარაკეტო გემებს, ავიაგამანადგურებელ-ბომბდამშენებს „კფირს", ურთულეს ელექტრონულ აღჭურვილობას. ისრაელში ამზადებენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ოფიცრებს, რომლებსაც ტელავიველი ინსტრუქტორები გადასცემენ არაბული სახელმწიფოების წინააღმდეგ აგრესიული ომების დროს შეძენილ „მდიდარ გამოცდილებას". პრეტორიის უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობისათვის რეგულარულად ეწყობა სემინარები და კონფერენციები.

როგორც აქ მოსული ცნობები მოწმობენ, ისრაელები აქტიურად მონაწილეობენ სამხრეთ აფრიკის ჯარების საბრძოლო ოპერაციებში ნამიბიის ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ.

პრეტორიის რეჟიმთან დაახლოების ტელ-ავივის კურსს სავსებით იწონებს და მხარს უჭერს ამერიკის შეერთებული შტატები, რომელსაც, როგორც გაზეთები წერენ, „პოლიტიკური მიზეზებით არ შეუძლია აშკარად დაუჭიროს მხარი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას".

## გმობენ გამალებულ შეიარაღებას

**ბონი, (საქდესი). დასავლეთ გერმანიის დემოკრატიულმა პარტიამ — გერმანელთა მშვიდობის კავშირმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც გადაჭრით გმობს გამალებული შეიარაღების პოლიტიკას, რომელსაც ნატოს ქვეყნების, მათ შორის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი ადგას.**

ამასთან დაკავშირებით განცხადებაში აღნიშნულია იმ ღონისძიებათა დიდი მნიშვნელობა, რომლებსაც საბჭოთა კავშირი და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნები ახორციელებენ, რათა ბოლო მოეღოს გამალებულ შეიარაღებას და პოლიტიკური დაძაბულობის შენელებასთან ერთად შენელდეს სამხედრო დაძაბულობაც.

ფოტოინფორმაცია

## სსრ კავშირ-მალის თანამშრომლობა

**მალის დედაქალაქ ბამაკოში სპორტულ ნაგებობათა კომპლექსი „ომნისპორი" იმ ქუჩაზე მდებარეობს, რომელსაც აქ საბჭოთა ქუჩას უწოდებენ. საბჭოთა კავშირის ხელშეწყობით აგებულ კომპლექსში მოთავსებულია მთავარი სპორტული მოედანი 25 ათასი მაყურებლისათვის, საცურაო აუზი, დახურული სპორტული პავილიონი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში შეიძლება კინოთეატრად ან 1500 ადგილიან საკრებულო დარბაზად გადაკეთდეს. აქ სპორტული შეჯიბრებების გარდა იმართება რესპუბლიკის პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენებისადმი მიძღვნილი და კულტურული ღონისძიებები.**

**სურათზე:** სპორტულ ნაგებობათა კომპლექსის „ომნისპორის" სპორტის სასახლე.

ახალი ამბების სააგენტოს ფოტო.





**დიდი მუშაობა გასწიეს მალის რესპუბლიკაში საბჭოთა გეოლოგებმა, რომლებმაც რკინის მადნის, ბოქსიტების და ცემენტის მრეწველობისათვის ნედლეულის დიდძალი მარაგი აღმოაჩინეს. პატარა დაბა კალანის მიდამოებში მათ აღმოაჩინეს აგრეთვე ოქროს ხარეწი უბნები.**

**სურათზე:** საბჭოთა საბურღავი ტექნიკა საძიებო უბანზე.

ახალი ამბების სააგენტოს ფოტო.

ეს საინტერესოა

## ეძებენ მაჰარაჯის განძს

როგორც საქდესის კორესპონდენტი დელიდან იუწყება, ინდოეთის რაჯასთანის შტატის დედაქალაქ ჯაიპურიდან ათი კილომეტრით დაშორებულ ერთ-ერთ ბორცვზე გაშენებულ ჯაიგარჰის ციხესიმაგრეში და მის მისადგომებთან ამ დღეებში უჩვეულო გამოცოცხლება სუფევს — ეძებენ მაჰარაჯა სავაი ჯაი სინგჰის განძს, რომელიც მან საიდუმლო საცავებში 250 წლის წინათ გადამალა.

...ამ ცოტა ხნის წინათ ინდოეთის მთავრობას ვიღაც პირმა, რომელმაც თავისი ვინაობის გამჟღავნება არ ისურვა, აცნობა, რომ იგი რაო კრიპ რამის, ერთ დროს სავაი ჯაი სინგჰის, მსახურის შთამომავალია, და რომ მას შეუძლია ხელისუფლებას გადასცეს რუკა, სადაც მინიშნებულია განძის საიდუმლო საცავების ადგილმდებარეობა.

„ბიჯაკი" — დაშიფრული რუკა შესასწავლად დაუყოვნებლივ სპეციალისტებს გადასცეს. მათ დაადასტურეს, რომ ქაღალდი და მელანი, რომლითაც დოკუმენტია დაწერილი, არანაკლებ 200 წლისაა, წარწერები შესრულებულია ძველ ჯაიპურ დიალექტზე. რუკაზე მითითებულია ძებნის მიმართულება და ისიც კი, თუ რა მანძილზე უნდა გაითხაროს მიწა ციხესიმაგრის შიგნით მინიშნებული გარკვეული ადგილიდან. ოღონდ ის კია, რომ ძნელდება იმის დადგენა, თუ რას უდრიდა ორ-ნახევარი საუკუნის წინათ დაწერილი სიგრძის ზომა.

ინდოეთი მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქვეყანაა, სადაც ერთმანეთს ცვლიდა მრავალი ცივილიზაცია, იმპერია თუ დინასტია, და რომელმაც არაერთი ომი და კატასტროფა განიცადა. ინდოეთის მიწა წარსულის მრავალ საიდუმლოებას ინახავს, პრესა ხშირად იუწყება სხვადასხვა შტატში წარმოებული გათხრებისას უძველესი ცივილიზაციების ნაშთების, კულტურის, ხელოვნების ძეგლების აღმოჩენის ამბავს, არცთუ იშვიათად ქვეყნდება ხოლმე ცნობები ოქროს განძის პოვნის შესახებ.

მაგრამ ამჯერად საიდუმლო განძის — ოქროს ზოდების, საოქრომჭედლო ნაკეთობის, პატიოსანი თვლების, ოქროს მონეტების მოსალოდნელი ოდენობა ბევრად აღემატება ადრე ნაპოვნ ყველა განძს. 1711 წლის „კურსით" იგი 1,3 მილიარდ რუპიად არის შეფასებული, რაც დღეს ფინანსისტთა აზრით, სულ ცოტა 100-ჯერ უფრო მეტ თანხას შეადგენს.

ჩვენამდე მოღწეული დიდი მოგოლების დროინდელ დოკუმენტებში ნახსენებია უმდიდრესი განძი, რომელსაც იმპერატორის მთავარსარდალი აკბარა მან სინგჰი აგროვებდა, ეს განძეულობა კი გადამალა ჯაიპურის მშენებელმა სავაი ჯაი სინგჰმა ჯაიგარჰში 1711 წელს. თვით ციხესიმაგრეს სამხედრო დანიშნულება არ ჰქონია და მხოლოდ ჯაიპურელი მმართველების ზღაპრული სიმდიდრის საცავად იყო გამოყენებული.

როგორც უძველეს დოკუმენტებშია აღნიშნული, თვით მმართველებსაც კი თავის სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ ჰქონდათ ციხესიმაგრეში მისვლის (ისიც თვალებახვეული) და იმდენი ოქროსა და სხვა ძვირფასეულობის წაღების უფლება, რამდენსაც ზიდავდნენ. ციხესიმაგრის და შიდა საცავების მცველები კი დროდადრო უკვალოდ ქრებოდნენ.

ჯაიპურელი მაჰარაჯის განძის არსებობის შესახებ ცნობების უტყუარობას ის ფაქტიც მოწმობს, რომ ორი წლის წინათ იქვე მახლობლად მდებარე მოტიდუნგრის სასახლეში იპოვნეს 100 მილიონი რუპიის ღირებულების ოქრო და საოქრომჭედლო ნაწარმი. დაადგინეს, რომ იგი ჯაიგარჰის ციხესიმაგრის განძის ნაწილია.

ინდოეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება გათხრების დაწყების შესახებ. გათხრებში მონაწილეობენ ინდოეთის არქეოლოგიისა და გეოლოგიის სამმართველოები, სახელმწიფო შემოსავლის დეპარტამენტები. გათხრების ადგილის დასაცავად მიყვანილია ჯარის ნაწილები. უკვე ამოშრობილია ციხესიმაგრის ხუთი წყალსაცავი, ინტენსიურად მიმდინარეობს მიწის სამუშაოები, მაგრამ ჯერჯერობით საიდუმლო განძის ვერავითარ კვალს ვერ მიაგნეს.

„ამ გათხრებში მონაწილეობას არ მივიღებდით, აბსოლუტურად რომ არ გვწამდეს მაჰარაჯის განძის პოვნა", განაცხადა სამუშაოთა ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ჰ. ლალმა.

## ბულგარელი ხალხის ზეიმი

**ბულგარელი** ხალხი, ყველა მოძმე სოციალისტური ქვეყნის მშრომლები აღნიშნავენ ბულგარეთში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების 32-ე წლისთავს. მოძმე ბულგარეთის დღესასწაულს მიეძღვნა თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო კრება, რომელიც 9 სექტემბერს გაიმართა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში.

პრეზიდიუმში იყვნენ: პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. გურგენიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების თავმჯდომარე გ. მელაძე, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბ. ლობჟანიძემ.

მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის თავმჯდომარემ, მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ლ. ყანჩაველმა. მან ილაპარაკა იმ დიდ წარმატებებზე, რომლებიც ბულგარელმა მშრომლებმა მოიპოვეს სახალხო მეურნეობის განვითარებაში სახალხო ხელისუფლების წლებში. ამ ხნის მანძილზე ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების დახმარებით მოწინავე სამრეწველო-აგრარულ სახელმწიფოდ იქცა.

კრებაზე გამოვიდნენ საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საქართველოს განყოფილების გამგეობის წევრი, კინორეჟისორი ნ. ნინოვა, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ზეინკალი ნ. სულამანიძე, თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის მე-4 კურსის სტუდენტი, ლენინური სტიპენდიანტი ს. ზენდიაშვილი.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს მრჩეველმა, დესპანმა რ. დრაგანოვმა, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. მან ილაპარაკა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის მე-11 ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში მოპოვებულ ახალ წარმატებებზე, რომლებითაც შეხვდა თავის დღესასწაულს ბულგარელი ხალხი.

საზეიმო კრების მონაწილეებმა მისალოცი დეპეშები გაუგზავნეს ბულგარეთის მოსკოვის საელჩოს და ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საყოველთაო-სახალხო კომიტეტს სოფიაში.

დასასრულ აჩვენეს ბულგარული მხატვრული ფილმი „დუელი". (საქინფორმი).

## პეკინში

**პეკინი, 10 სექტემბერი. (საქდესი). მაო ძე-დუნის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ჩინეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივმა კომიტეტმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ გამოაქვეყნეს ცნობა სამგლოვიარო ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც პეკინში განხორციელდება 18 სექტემბრის ჩათვლით. ცნობაში აღნიშნულია, რომ 11-დან 17 სექტემბრამდე სახალხო კრებების სახლში მოეწყობა „ხსოვნის აღსანიშნავი ცერემონია". 18 სექტემბერს ტიანანმენის მოედანზე გაიმართება საჯარო-სამგლოვიარო მიტინგი. იმავე დღეს, როგორც აღნიშნულია ცნობაში, ქვეყნის ყველა რაიონმა „უნდა მოაწყოს სამგლოვიარო მიტინგები მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცების, აგრეთვე მოსახლეობის სხვა ფენების მონაწილეობით, რომლებზეც მოისმენენ სამგლოვიარო მიტინგის ტრანსლაციას პეკინიდან".**

გამოცხადებულია, რომ ჩინეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სახელმწიფო საბჭომ მიიღეს გადაწყვეტილება არ მოიწვიონ ჩინეთში საზღვარგარეთის ქვეყნების მთავრობათა და პარტიათა დელეგაციები და წარმომადგენლები სამგლოვიარო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის.

სამგლოვიარო ჩარჩოებით გამოსულ დღევანდელ გაზეთებში დაბეჭდილია აგრეთვე დამკრძალავი კომისიის შემადგენლობა. სიის დასაწყისში გამოყოფილია გვარები ხუა გო-ფენის, ვან ჰუნ-ვენი, ე ძიან-ინი და ჩან ჩუნ-ციაო, შემდეგ ჩამოთვლილია კომისიაში შემავალი პოლიტბიუროს სხვა წევრებისა და წევრობის კანდიდატების გვარები.

# კომპლექსს დახმარება კომპლექსური სჭირდება

□ რა აფერხებს მშენებლობას? □ რა უშლის ხელს ათვისებულ სიმძლავრეთა ექსპლოატაციას? □ ვინ როგორ ასრულებს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებას?!

[illegible]

...ლების ყურადღების ცენტრშია.

ვისაც აქ ადრე გაუვლია, შენიშნავდა, რომ ნახევრად მოტიტვლებულ ველზე იშვიათად თუ რომელიმე მცენარე ხარობდა, რაიმე პირუტყვი ბალახობდა. ძლიერ დამლაშებული, სრულიად გამოუყენებელი ეს მინდორი ხალხის სამსახურში რომ ჩამდგარიყო, წარმოუდგენლად დიდი შრომა და გარჯა იყო საჭირო. აი, ზოგიერთი ციფრი საპროექტო მონაცემებიდან:

10.000 ჰექტარზე მსხვილფეხა რქოსანი საქონლის სასუქებელი კომპლექსის საკვები ბაზისათვის — მიწის სასარგებლო სახნავი ფონის შესაქმნელად, ანუ სამელიორაციო ღონისძიებების ჩასატარებლად, პროექტის მიხედვით, უნდა შესრულდეს 10 მილიონი კუბური მეტრი მიწის, 56 ათასი კუბური მეტრი ბეტონისა და რკინა-ბეტონის სამუშაოები; 550 კილომეტრზე უნდა ჩაეწყოს სადრენაჟო და 1.700 კილომეტრზე — სხვადასხვა დიამეტრის წყალგამტარი მილები და სხვა. დაწვიმების სახით, სათიბ-საძოვრების რწყვას მოემსახურება 122 „ფრეგატის" და 16 „ვოლჟანკის" ტიპის სარწყავი აგრეგატები.

უფრო ნათელი და წარმოსადგენი რომ იყოს, ძირითადად წნორის კომპლექსმა უნდა გადაწყვიტოს ჩვენი რესპუბლიკის, განსაკუთრებით ქ. თბილისის მოსახლეობის უზრუნველყოფა მოზარდი საქონლის ხორცით. მისი წლიური წარმადობა 4.500 ტონას, ხოლო სამრეწველო და სანაშენე პირუტყვის ოდენობა 25.000 სულს შეადგენს.

შეიძლება ითქვას, რომ საპროექტო სამუშაოების ნახევარზე [illegible] და ელექტროგადამცემი ხაზებით დაისერა 3.000 ჰექტარამდე მიწის ფართობი. იგი მთლიანად მელიორირებულია და გადაცემულია საექსპლოატაციოდ. მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახების ნათესები, რომ იტყვიან, ახლა ავ თვალს არ ენახვება. პირველივე თიბვაზე, ჰექტარზე საშუალოდ 160 ცენტნერი მწვანე მასა მიიღეს, მისგან დამზადდა 8.000 ტონა სენაჟი, 1.300 ტონა თივა. კომპლექსის დირექციის (დირექტორი ა. დოლმაზაშვილი), სპეციალისტების, უბნის ხელმძღვანელების, თითოეული მწყემსის ყოველდღიური საზრუნავია ათვისებული სიმძლავრეები, სახნავ-საძოვრები მაქსიმალურად გამოიყენონ, შექმნან პირუტყვის მტკიცე საკვები ბაზა, აწარმოონ რაც შეიძლება მეტი პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით. მარტო შარშან, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 450-ისა, წარმოებულია 600 ტონა ხორცი, ყოველ ას ძროხაზე მიღებული და გამოზრდილია 88 ხბო. შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზით, მეურნეობამ შესძლო შარშანდელი წლიწადი მოგებით დაემთავრებინა. რა თქმა უნდა, ამ წარმატებებში დიდია კომპლექსის მშენებელთა წვლილი.

კომპლექსის მშენებლობას, ასათვისებელ სიმძლავრეთა გადაცემას, შესრულებულ სამუშაოთა ხარისხის დაცვას მთელი პასუხისმგებლობით ეკიდება საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს წნორის მშენებლობის სამმართველო, რომელსაც მისი დაარსების დღიდან ა. მუსერიძე [illegible]

ხელმძღვანელობდა. თუმცა მათს მუშაობაში, შესრულებულ სამუშაოთა ხარისხში არის ერთგვარი ხარვეზებიც; სამელიორაციო სამუშაოების დროული და ხარისხიანი შესრულებით გამოირჩევა მესამე სამშენებლო სამმართველო (უფროსი ტ. ბუჩიაშვილი). თავდადებული შრომით სახელი გაითქვეს ექსკავატორის მემანქანემ ყ. კაკაშვილმა, ავტომაწის მძღოლმა ა. მარკოშინმა, მეიზოლატორე შ. ნოკვაშვილმა, მილის ჩამწყობმა ვლ. გოზალიშვილმა და სხვებმა.

მშენებლობის სამმართველოს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიდი და სერიოზული სამუშაოები აქვს შესრულებული, მაგრამ ეს შეიძლება ითქვას საერთო მოცულობაზე (102 პროცენტი). რაც შეეხება სიმძლავრეთა გადაცემის გეგმის შესრულებას, იგი ძალზე სამარცხვინოა (45 პროცენტი). ეს დიდად ამუხრუჭებს კომპლექსის სრული სიმძლავრით ამოქმედებას.

სამშენებლო-სამონტაჟო, საერთოდ სამელიორაციო სამუშაოების შესრულებასა და სიმძლავრეების გადაცემას შორის არსებული ერთობ დიდი დისპროპორციის მიზეზია ცალკეული გამშვები კომპლექსების ლითონისა და აზბესტცემენტის მილებით, ხოლო წყალსატუმბავი სადგურებისა და ელექტროქვესადგურების საჭირო მოწყობილობებით მოუმარაგებლობა. კერძოდ, 1972-1975 წლებში შესასრულებელ სამუშაოებზე ფონდირებული მილების მხოლოდ 60 პროცენტია მიღებული. ასევე დიდი შეუსაბამობაა წლევანდელი წლის დაგეგმილ სამუშაოებსა და სამშენებლო მასალებს, ძირითადად მილების ფონდებს შორის. 10.100.000 მანეთის მოცულობის სამუშაოთა შესასრულებლად, ანუ 2.500 ჰექტარი სიმძლავრის გადასაცემად საჭირო 8.200 ტონა ფოლადის მილის ნაცვლად გამოყოფილია 3.200 ტონა; ასეთივე შეუსაბამობაა აზბესტცემენტის მილების ფონდებში. ეს საფრთხეში აყენებს 1976 წლის სამშენებლო სამუშაოებისა და სიმძლავრეთა ამოქმედების გეგმების შესრულებას.

კომპლექსის მშენებლობის საჭირო მასალებით, მოწყობილობებით მოუმარაგებლობა ასუსტებს მუშაობის ტემპს, ამას შედეგად მოსდევს უპასუხისმგებლობა, მომთხოვნელობის შესუსტება იმ დავალებათა შესასრულებლად, რომელიც მათ შარშან 13 მაისს სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებით დაეკისრათ. სამმართველო აპარატში თუ სამუშაო უბნებზე არ ჩანს ის განწყობა, ის შემართება, ენთუზიაზმი, რომ კომპლექსის მშენებლობის სამუშაოები ძირითადად 1976 წელს დამთავრდეს, ხოლო მთლიანად 1977 წელს გადაეცეს საექსპლოატაციოდ, როგორც ეს დადგენილებაშია აღნიშნული. პარტიული ორგანიზაცია (პარტბიუროს მდივანი გ. ბაკაშვილი) სათანადოდ ვერ რაზმავს კომუნისტებს, კომკავშირელებს მიღებულ დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში, ნაკლებად ისმენს სამშენებლო სამმართველოთა ხელმძღვანელების, თითოეული კომუნისტის ინფორმაციებს სამუშაოთა შესრულებისა და ხარისხის შესახებ.

კონკრეტულად, ვინ როგორ ასრულებს ამ დადგენილებას?

საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს 1975 წლის ბოლომდე უნდა უზრუნველეყო 3.800 ჰექტარი მელიორირებული მიწების საექსპლოატაციოდ გადაცემა, ხოლო 1976 წლისათვის — დანარჩენი 4.800 ჰექტარისა. მასვე დაევალა მუშა-მოსამსახურეთა საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობების უზრუნველყოფა, რაც ჯერ კიდევ მოუგვარებელია. შექმნილი მდგომარეობა არა თუ 4.800, არამედ 2.500 ჰექტარი სიმძლავრის გადაცემასაც საფრთხის წინაშე აყენებს.

რაც შეეხება წნორის მეცხოველეობის კომპლექსთან სახელშეკრულებო საწყისებზე სარწყავი სისტემის ექსპლოატაციის სპეციალიზებული სამმართველოს შექმნას, იგი მოგვიანებით შეიქმნა და ჯერაც არ არის აღჭურვილი სათანადო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით, რის გამოც სასოფლო-სამეურნეო კულტურების რწყვა ძალზე შეფერხებით მიმდინარეობს.

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს დაევალა 1975 წლისათვის № 1, 2, 3 სარეპროდუქტორო ფერმების საექსპლოატაციოდ გადაცემა. სამარცხვინოა ითქვას, რომ დღემდე მხოლოდ ერთი ფერმაა გადაცემული. წლევანდელი წლის გეგმა კი რვა თვეში მხოლოდ 40 პროცენტით არის შესრულებული. განსაკუთრებით ნელი ტემპით მიმდინარეობს ენამთის საკვების შესამზადებელი საამქროს და სასუქი მოედნის მშენებლობა. ეს ძირითადად ტრანსპორტის ნაკლებობის ბრალია.

ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო აჭიანურებს საქონლისა და ასანოში კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობის დაწყებას.

სატელეფონო კავშირის მოწყობა, რომელიც კავშირგაბმულობის სამინისტროს დაევალა, ჯერაც არ მოგვარებულა.

კომპლექსის მშენებლობა განკერძოებულ სიძნელეებს განიცდის კადრებით, განსაკუთრებით მექანიზატორთა კადრებით. ამ ნაწილში დახმარება პარტიის სიღნაღის რაიკომსა და რაისაბჭოს აღმასკომს დაევალათ. გულახდილად უნდა ითქვას, რომ არც ეს საქმეა მთლიანად მოგვარებული.

შეიძლება ერთი შეხედვით წარმოიდგინოთ, და უნდა ვთქვათ კიდეც, რომ დიდ საქმეს დიდი სიძნელეები, შეფერხებები, ზოგჯერ გაუგებრობაც ახლავს თან. ერთი კაცი, ზოგჯერ ერთი ორგანიზაციაც ვერ აუვა. სწორედ ეს გაითვალისწინა საქართველოს კპ სიღნაღის რაიკომმა და მშენებლობის ამ დიდ ფრონტზე სპეციალური შტაბი შექმნა (უფროსი — პარტიის რაიკომის მეორე მდივანი მ. ხუნაშვილი). გულახდილად უნდა ითქვას, რომ ეს შტაბი თვიდანთვემდე მხოლოდ სამუშაოთა შესრულებას აღრიცხავს. რა თქმა უნდა, მშენებლობის ყოველდღიურ საქმიანობასაც იცნობს, მაგრამ მეტი უნდა გააკეთოს.

კომპლექსის ერთი მხარეა მშენებლობა, მეორე — მისი ექსპლოატაცია. არანაკლები ყურადღება და დახმარება სჭირდება მეორე მხარეს, რომელმაც შედეგიც უნდა მოგვცეს და ეფექტიც.

გადაცემული მიწის სიმძლავრეები, მისი მომდევნო რიგი უზრუნველყოფილი არ არის საკვები ბაზის შესაქმნელად საჭირო თესლებით, ხვნა-თესვისა და მოსავლის აღების ტექნიკით, ტრანსპორტით.

ჯოვის სრულად შექმნისათვის საჭიროა მეხორცული ჯიშის დეკეულებით მეურნეობის დაკომპლექტება, იმ ანგარიშით, რომ 1980 წლისათვის იგი მთლიანად შეივსოს. ამ ნაწილშიც, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო არ ასრულებს სადირექტივო ორგანოების განკარგულებას.

კომპლექსის ნორმალურ მუშაობას ხელს ისიც უშლის, რომ არ ხდება პროექტით გათვალისწინებული ფართობების სრულყოფილი ეტაპობრივი ჩაბარება. თესლბრუნვის ათვისება, კულტურული საძოვრების მოწყობა და პირუტყვის მოშენება მშენებლობის პარალელურად მიმდინარეობს, რაც პირუტყვის დაავადების საშიშროებას ქმნის.

სრულყოფილად არ ხდება მელიორირებული მიწების პროექტით გათვალისწინებული ექსპლოატაცია, დაბალია პირუტყვის მოვლა-პატრონობის, ზოოვეტმომსახურების დონე, მოუგვარებელია მწყემსთა საყოფაცხოვრებო პირობები.

კომპლექსის მშენებლობის პროცესმა, ათვისებულ სიმძლავრეთა ექსპლოატაციამ ცხადყო, რომ მშენებლობის პროექტებს ზოგიერთი საკითხის დაზუსტება, შესწორება სჭირდება. კომპლექსის ხელმძღვანელობა აყენებს საკითხს, ადგილზე მოწვეული იქნას თბილისის საპროექტო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, წნორის კომპლექსისა და სამშენებლო ორგანიზაციების, აგრეთვე ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელთა მონაწილეობით, სადაც განიხილება და გადაწყდება მშენებლობის მიმდინარე საკითხები, გათვალისწინებულ იქნება სწორი შენიშვნები და წინადადებები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, წნორის მეცხოველეობის კომპლექსის მშენებლობის დამთავრებას წლეულს ბოლო არ უჩანს. იგი ალბათ არც მერმის დამთავრდება. ამის იმედს ვერც ობიექტური ფაქტორები იძლევა და ვერც სუბიექტური. საქმის გაჭიანურება კი ეკონომიურ ზარალს, მომავალ სიძნელეებს გვიწინასწარმეტყველებს.

დროა, ყველამ განსაჯოს და განსაზღვროს მოვალეობა, პასუხისმგებლობა, რომელიც ამ დიდ საშვილიშვილო საქმეში ეკისრება.

**შ. ქარუმიძე,**
საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი.

**ვლ. მჭედლიშვილი,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

---

**ცნობილი** ქართველი საბავშვო მწერალი, წლების განმავლობაში ჩვენი საყმაწვილო ჟურნალ-გაზეთების დაულალავი ხელმძღვანელი და თანამშრომელი ლავრენტი ჭიჭინაძე 70 წლისა გახდა. მისი მოთხრობებისა და ზღაპრების გმირები მკითხველს უნერგავენ სამშობლოს სიყვარულსა და მისთვის თავდადების გრძნობას, კომუნიზმის იდეალებისადმი ერთგულებას, პატიოსნებას, გულწრფელობას, ახლის ძიების სურვილსა და საერთო სახალხო საქმისათვის სამსახურის სულისკვეთებას.

ქვემოთ ვბეჭდავთ მწერლის ახალ მოთხრობას.






მოთხრობა

სულ პატარა რომ ვიყავი, მაშინაც მქონდა ჩემი ოცნება. წარმოუდგენელ რამეზე კი არ ვოცნებობდი, იმაზე, რასაც ვხედავდი, მაგრამ მიუწვდომლად მეჩვენებოდა.

ახლა ხნიერი ვარ.

ოცნება ხომ ტკბილი რამ არის, მოგონებაც კარგი ყოფილა. ჰო და, მომაგონდა სკოლაში შესვლის პირველი დღეები. მასწავლებელმა შეგვიყვანა კლასში და გვითხრა, თუ ვის რომელ მერხზე მოგვიხდებოდა დაჯდომა.

დავსხედით. გასუსული ვართ. ყველანი შევცქერით მაღალ კაცს. ჩემს პირველ მასწავლებელს თვალს არ ვაშორებ. მაშინ მას თმაში აქაიქ ჰქონდა თეთრი, ოდნავ, ძლივს ემჩნეოდა ჭაღარა. რა ახლოს იდგა იგი ჩვენს წინ და, რა შორს მეჩვენებოდა!

მასწავლებელი!

აი, ვინ იყო იგი.

სწორედ მაშინ გამიჩნდა ოცნება: „ნეტავ მეც მასწავლებელი გამხა-[illegible]

მასწავლებლად გასამწესებელი საგზურის ასაღებად. ვკითხები ჩემს მეგობარს:

— სოლომონ, შენც ჩემსავით სოფლიდან ხარ ჩამოსული, სად წახვალ სამუშაოდ? სოფელში თუ ქალაქს აირჩევ?

— სოლომონმა დაუფიქრებლად მიპასუხა:

— სოფელს ქალაქი მირჩევნია. აქ დავრჩები.

მერე ის მეუბნება:

— გაიოზ, ალბათ შენც ქალაქში დარჩები.

[illegible]

გად ვერ ვსწავლობდი? სოლომონმა იცის, როგორ ჩამციებოდა პროფესორი: დარჩი ჩემთან, შენ კარგი მეცნიერი დადგებიო. ვერ დამითანხმა. აქ ჩემს გარდა სხვაც ბევრია დარჩენილი, სოფელში კი არავინ არის, იქ უნდა წავიდე-მეთქი. — ვუთხარი.

— ო, რამდენი საქმეა სოფელში!

ბევრი, ძალიან ბევრი! მაგრამ ეს არ მაშინებს. ვინც სამუშაოზე ამწესებდა, შევედი მასთან. მისი პირველი შეკითხვა იყო:

— შენ სად გაინტერესებს სამუშაოდ წასვლა?

— სოფელში. — ვუპასუხე მე.

შემხედა, ალბათ ინსტიტუტი წარჩინებით დაამთავრაო და მკითხა:

— როგორი დიპლომი გაქვს?

— წარჩინებულისა.

ეს რომ ვუთხარი, შემატყო, გული მოიბრუნა და შემეკითხა:

— მაინც სად გინდა წასვლა? რომელ სოფელში?

— ჩემს სოფელში.

— ძალიან კარგი, დიდებული არჩევანია!

მე გამიხარდა, სურვილი რომ შემისრულდა. იმასაც გაუხარდა, სოფლად რომ მივდიოდი.

სოლომონმა ქალაქში დარჩენა მოინდომა, სხვაგან წასვლაზე ცივი უარი თქვა. ქალაქში არ იყო ადგილი.

[illegible]

ბევრჯერაც შეიძლება. — ვუთხარი მე.

მეორე ბავშვის წინადადება მომეწონა. მან თქვა:

— გზიდან სკოლამდე ვაზი დავრგათ, ტალავერით დავამშვენოთ ეს მიდამო.

ვაზის მოტანაც თვითონ ითავა.

იმ ბიჭის მამა სოფელში განთქმული მყნობელი იყო. სიტყვა საქმედ ვაქციეთ.

ის ბავშვები წავიდნენ, მაგრამ იმ ტალავერს რომ შევცქერი ხოლმე, თვალწინ მიდგება მათი სახეები.

ხანდახან სოფელში იმდენი რამ არის გასაკეთებელი, რომ კოლმეურნეები ველარ აუდიან. თუნდაც შემოდგომაზე! მთელი წლის ნაშრომნაღვაწი, მშრომელი კაცის ნაოფლარი: სიმინდი, ყურძენი, ჩაი, ხილი! ესენი ხომ ერთსა და იმავე დროს არის ხოლმე მოსაკრეფ-მოსატანი. და მერე ერთბაშად მოვუსვათ ხელი? ძნელი მოსასწრებია, მაგრამ უნდა მოასწრო! აბა, შემოსულ მოსავალს უპატრონოდ ხომ არ მიატოვებ!

შეიძლება მოსავალს შორიდან უცქირო? ვინც ადამიანის შრომის ფასი იცის, ასე არ მოიქცევა. ჰოდა, მე რატომ უნდა ვიყო გულგრილი? თუმცა ზოგმა შეიძლება ჩემ ადგილზე ასეც კი თქვას: მე მასწავლებელი ვარ და ერთგულად ვასრულებ ჩემს მოვალეობასო. ეს ხომ ასეც უნდა იყოს. თავის მოვალეობას ვინც ვერ ასრულებს, ჩამორჩენილია. იტყვიან [illegible]

მეპარება, რომ ერთხელ მაინც არ ჩავათვალიერო. ერთხელაც, როცა ეზოში ჩრდილში ჭიყავი წამოწოლილი, ჩემი მეგობრების გამოგზავნილ წერილებს ვათვალიერებდი. მერე ის ჩემი ერთადერთი სია ამოვიღე. ჩავაყოლე თვალი. ამ დროს ჭიშკართან ავტობუსი გაჩერდა. ჭიშკარი გაიღო და, რას ვხედავ — უცბათ კაცი [illegible]

[illegible]

**ლავრენტი ჭიჭინაძე.**

# ქარხნის საგზურით

ბათუმი, 10 სექტემბერი. (საქინფორმის კორ.). ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ბუღალტერიამ სტიპენდიები გადაურიცხა თავის ათ მუშაკს — ამჟამად მოსკოვის, ივანოვოს, თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს. მათ შორის არიან ოპერატორის თანაშემწე ზაურ ზამბახიძე, რომელიც წელს საწარმოს საგზურით შევიდა მოსკოვის გუბკინის სახელობის ნავთობქიმიისა და გაზის მრეწველობის ინსტიტუტის ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე, საკომპრესორო სადგურის მემანქანის თანაშემწე ოლღა ზაბურჯანი — ივანოვოს ენერგეტიკული ინსტიტუტის სტუდენტი, ელექტრომონტიორი თემურ აბაშიძეს ქარხანამ საგზური მისცა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და ტელემექანიკის ფაკულტეტზე, ლაბორანტ ციალა გაჩუას — თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე და სხვ.

ქარხნის სოციალურ-ეკონომიური განვითარების გეგმის შესაბამისად საწარმოს ადმინისტრაცია და საზოგადოებრივი ორგანიზაციები საწარმოსათვის სპეციალისტებს ამზადებენ ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში. ყოველწლიურად ქარხნის საგზურებით ინსტიტუტებში სასწავლებლად გზავნიან ახალგაზრდა მუშებს. მუშაობის მთელი პერიოდის მანძილზე ქარხანა ზრუნავს თავის მუშაკებზე — უხდის სტიპენდიას.

წელს მოსკოვის გუბკინის სახელობის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში დაბრუნდა საკონტროლო-საზომი ხელსაწყოების საამქროს ყოფილი ზეინკალი ვლადიმერ კოტრიკაძე. იგი ამ საამქროს ინჟინრად დანიშნეს.

ჩვენ უკვე გათვალისწინებული გვაქვს ინჟინერ-ტექნოლოგის თანამდებობა ყოფილი ლაბორანტის გულნარა ბარკალაიასათვის, რომელმაც გუბკინის სახელობის ინსტიტუტი დაამთავრა, — გვითხრა ქარხნის დირექტორმა ე. გვენცაძემ. — ქარხანაში მოელიან სხვა ახალგაზრდა სპეციალისტებსაც — ყოფილ მუშებს, ამჟამად უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს — რაისა შატალოვას, რევაზ კონცელიძეს, არტემ მაკარიანსა და სხვებს.

## ცელაში — 25 ტონა ხილი

**გორი.** შავშების საბჭოთა მეურნეობაში ინერგება ხილის კრეფის მექანიზებული ხერხი. საბჭოთა მეურნეობის სპეციალისტები სტუმრად იმყოფებოდნენ მოლდაველთ მებაღეებთან, გაეცნენ ამ ხერხს. შეიძინეს აპარატები, რომლებსაც ახლა პრაქტიკაში იყენებენ.

აპარატები ეკონომიური და დიდმწარმოებლურია. ერთ ცელაში თვითეულით შეიძლება 25 ტონა ხილის მოკრეფა.




# ახალი სეზონი — ფიქრები, გეგმები

**დღეს, 11 სექტემბერს, ახალ სეზონს ხსნის თბილისის რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრი.**

# მთავარი ადგილი — ეროვნულ დრამატურგიას

**თბილისის** შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ახალი სეზონის შემოქმედებით გეგმებზე, რეპერტუარისა და სიახლეთა შესახებ გვესაუბრება თეატრის დირექტორი აკაკი ბაქრაძე.

— ძირითადი ნიშანი, — ამბობს ა. ბაქრაძე, — რომელიც წლევანდელ სეზონს განსაკუთრებით დაახასიათებს, არის ქართული რეპერტუარი. წლეულს მთავარი ყურადღება გამახვილებული გვაქვს ჩვენივე ავტორების ნაწარმოებებზე. რაც შეეხება შარშანდელ რეპერტუარს, იგი წლეულსაც უცვლელი იქნება.

გადაწყვეტილი გვაქვს დავდგათ მიხეილ ჯავახიშვილის „ქალის ტვირთი". ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რეჟისორი თ. ჩხეიძე სპექტაკლზე მუშაობას ამ დღეებში დაიწყებს. სპექტაკლი მიეძღვნება 1905 წლის რევოლუციას.

ახლოვდება ორი დიდი თარიღი — ილია ჭავჭავაძის დაბადების 140-ე წლისთავი (1977 წ.) და სანდრო ახმეტელის დაბადების 90-ე წლისთავი (წლეულს). თუ გავიხსენებთ, რომ დიდ ქართველ რეჟისორს ილიას „კაცია-ადამიანის?!" დადგმა სურდა, მაშინ ბუნებრივი იქნება, ჩვენი სპექტაკლი ამ ორ დიდ თარიღს მიეძღვნას. აქვე მინდა დავძინო, რომ შევეცდებით ამ სპექტაკლში გავაერთიანოთ ის მოტივები, რომლებიც საერთოდ ილიას შემოქმედებაში გვხვდება. ეს იქნება ცნობილი თემის ახლებური ინტერპრეტაცია, რომელსაც ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რ. სტურუა განახორციელებს.

სეზონის პირველი პრემიერა იქნება ნ. წულეისკირის „თუთარჩელა". რეჟისორ ნ. ხატისკაცის ამ სპექტაკლში მონაწილეობენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტები ს. ყანჩელი, ბ. ზაქარიაძე, გ. გეგეჭკორი, მსახიობები ბ. წიფურია, ქ. ლოლაშვილი, ნ. ფანჩულაშვილი, ა. მახარაძე.

მაყურებელი ნახავს ე. შვარცის „დრაკონს", რომელშიც ზღაპრის სტილისტური თავისებურებებით კეთილისა და ბოროტის ბრძოლაა ასახული. ეს უძველესი და მუდმივი თემა, ვფიქრობთ, ჩვენს სცენაზეც საინტერესოდ აისახება. სპექტაკლში მონაწილეობენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტი გ. საღარაძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები კ. კავსაძე, ჯ. ლოლაშვილი...

მოგეხსენებათ, ჩანაფიქრის ხორცშესხმა ზოგჯერ ვერც კი ხერხდება, მაგრამ ჩვენ მაინც ვვარაუდობთ დავდგათ ვ. კანდელაკის „დრო 24 საათი", ლ. ქიაჩელის „ჰაკი აძბა", კ. ბუაჩიძის „პლატონი", ა. ჩხაიძის „თავისუფალი თემა".

ი. გოგებაშვილის „დედა ენის" მესაე წლისთავის გამო გვინდა დავდგათ საგანგებო სპექტაკლი. აქვე შეიძლება განვმარტო, რომ ამგვარი ცდა პირველია და ამიტომ ბევრ სიძნელეს უკავშირდება, მაგრამ მაინც გვსურს იგი განვახორციელოთ.

ახალ სეზონს შარშანდელი ერთ-ერთი საუკეთესო სპექტაკლით — „კავკასიური ცარცის წრით" ვხსნით.

გზებსა და გზაჯვარედინებზე

# მუდამ საბრძოლო საგუშაგოზე

## სახელმწიფო ავტოინსპექციის 40 წელი

**საქართველოში** საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდანვე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ავტო-მოტოტრანსპორტის შემდგომი განვითარების, მისი სწორი ექსპლოატაციისა და მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებს. 1921 წლის 26 თებერვალს საქართველოს რევკომის დეკრეტით ავტოგარაჟის განსაკუთრებული კომისრის თანამდებობა შემოიღეს. კომისარს დაევალა სასწრაფოდ აღერიცხა საქართველოში არსებული ყველა ავტომანქანა.

1922 წლის 20 იანვარს საქართველოს ცაკ-მა და სახკომსაბჭომ მიიღეს დადგენილება რესპუბლიკურ „მუშათა და გლეხთა მილიციის დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ". ამით საქართველოს მუშურ-გლეხურ მილიციას სხვა უმნიშვნელოვანეს მოვალეობებთან ერთად ავტოტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა მოძრაობის უსაფრთხოების დაცვაც დაეკისრა.

მანქანების ზრდა, მოძრაობის ინტენსიურობა, ავარიულობასთან ბრძოლის გაძლიერების ამოცანები და საავტომობილო პარკის მუშაობის გაუმჯობესებისაკენ მიმართული ღონისძიებები დღის წესრიგში აყენებდა სპეციალური ორგანოს შექმნის საკითხს, რომელიც უშუალოდ იქნებოდა პასუხისმგებელი მოძრაობის მაღალი კულტურის დანერგვისა და ავტოსატრანსპორტო შემთხვევების აღკვეთა-აცილებისათვის.

1934 წელს საბჭოთა კავშირის ცენტრალურ საგზაო-სატრანსპორტო სამმართველოსთან შეიქმნა მთავარი საავტომობილო სახელმწიფო ინსპექციის რწმუნებულის თანამდებობა. ამ თანამდებობაზე საქართველოს რესპუბლიკაში დაინიშნა ცნობილი ტრანსპორტის მუშაკი ბესარიონ მამულია. 1936 წელს სახელმწიფო ავტოინსპექციის სტრუქტურასა და ორგანიზაციულ წყობაში მოხდა სათანადო ცვლილებები, მილიციის ორგანოების განკარგულებაში გადავიდა სახელმწიფო ავტოინსპექცია, საკვალიფიკაციო კომისია, თბილისის ფსიქოტექნიკური ლაბორატორია.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ 1936 წლის 3 ივლისს დაამტკიცა მილიციის მთავარი სამმართველოს სახავტოინსპექციის დებულება. მას დაეკისრა ავტოტრანსპორტის ავარიულობასთან და მტაცებლურ გამოყენებასთან ბრძოლა, ავტოტრანსპორტის ტექნიკური ექსპლოატაციის ნორმების შემუშავება, მძღოლთა კადრების მომზადების მეთვალყურეობა, ავტოტრანსპორტის პარკის რაოდენობრივი და ხარისხობრივი აღრიცხვა.

ამ დებულების თანახმად საქართველოს მუშურ-გლეხურ მილიციასთან შეიქმნა სახელმწიფო ავტოინსპექცია, მისი ხელმძღვანელი ორგანოები, ქალაქისა და რაიონების ავტოინსპექციები.

სახელმწიფო ავტოინსპექციის შექმნა და მისი მილიციის ორგანოების შემადგენლობაში გადასვლა დროული და საჭირო ღონისძიება იყო. ავტოინსპექციის მუშაკებმა საგრძნობლად გააუმჯობესეს ავტოსაგზაო შემთხვევებთან ბრძოლის ორგანიზაცია, ამასთან ერთად, ავტოინსპექცია გახდა ცენტრალური ორგანო, რომელიც მთელ საზოგადოებრიობასთან მჭიდრო კავშირით ატარებს ქმედით პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელ ღონისძიებებს, ანალიზს უკეთებს და ავლენს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა გამომწვევ მიზეზებს, მუშაობაში ნერგავს მოწინავეთა გამოცდილებას, ავარიულობასთან ბრძოლის მოწინავე მეთოდებს და ხერხებს.

საქართველოს სახავტოინსპექციის ახალი თაობისათვის მუდამ მისაბაძი იქნება საქმისადმი იმათი კეთილსინდისიერი, ჩეკისტური სიწმინდე და ადამიანებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება, ვინც პირნათლად მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე — ესენი იყვნენ ინსპექციის მუშაკები ნ. მანველიძე, ვ. სალიბეგაშვილი, მ. ბობოხიძე, ვ. თელია, დ. აბაშიძე, კ. დოლიძე, ა. ლუკოვნიკი, ს. ჯუღელი, გ. კარიაული, ი. ჩოფიკაშვილი, ლ. მდინარაძე და სხვები; სახავტოინსპექციის მოწინავე ქალები — ცაცა ასათიანი, ეთერ ჩხარტიშვილი, ანიკო ჯორბენაძე, თამარ კრივაია, ანა შაბანოვა, ნინა რუდნკოვა და სხვები.

დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში საქართველოს მილიციის სახავტოინსპექციის მუშაკებმა გამოიჩინეს ინიციატივა შეეგროვებინათ თანხა საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიის „საქართველოს მილიციელის" ასაგებად.

ამ ბოლო წლებში რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დახმარებით საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ სათანადო ღონისძიება განახორციელა სახელმწიფო ავტოინსპექციის საქმიანობის სრულყოფისათვის. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პირადი შემადგენლობის ხარისხობრივ გაუმჯობესებას. ამის შედეგად სახავტოინსპექციაში პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების რეკომენდაციებით მოვიდნენ ახალგაზრდა მუშაკები. თანდათანობით სახავტოინსპექციაში ყალიბდება სრულიად ახალი ტიპის მუშაკი, რომელშიც ჰარმონიულად არის შეხამებული აღმზრდელის, ორგანიზატორისა და პროპაგანდისტის საუკეთესო თვისებები.

ლითიდლე უმჯობესდება საბჭოთა საქართველოს სახავტოინსპექციის პირადი შემადგენლობის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები. განვლილ 40 წლის მანძილზე ძირფესვიანად შეიცვალა სახავტოინსპექციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ამჟამად სახავტოინსპექციის თვითეული მუშაკი სრულყოფილად ფლობს და მიზანსწრაფულად იყენებს თანამედროვე ტექნიკის ყველა საშუალებებს, სპეციალურად მოწყობილ ავტოტრანსპორტს, სიგნალიზაციას, რადიოკავშირის უახლეს საშუალებებსა და მიღწევებს, კრიმინალისტიკას, მისი აღჭურვილობა ივსება ელექტრონული გამომთვლელი მანქანებით, სატელევიზიო აპარატურით, იზოტოპებისა და ფოტოელემენტების ტექნიკის გამოყენებაზე დაფუძნებული ხელსაწყოებით.

მუდამ საბრძოლო საგუშაგოზე ფხიზლად მდგარი საქართველოს სახელმწიფო ავტოინსპექცია წარმატებით შეასრულებს სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებებით დასახულ ამოცანებს — ერთგულად ემსახურება ხალხს, კომუნისტური მშენებლობის ინტერესებს.

**პ. ხვიჩია,**
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პირადი შემადგენლობის ინსპექციის უფროსი ინსპექტორი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

# საქართველოს მთა-ბარში



ბათუმის საზღვაო პორტი.

შ. ჩხეტიანის ფოტო.

ბევრმა არც იცის, რომ კოლხეთის ცენტრში — ხობის რაიონში არის შუა ხორგის სამკურნალო მცენარეთა საბჭოთა მეურნეობა, რომელიც სსრ კავშირის მედიცინის მრეწველობის სამინისტროს სისტემაში შედის. იგი ქობულეთის შემდეგ მეორეა რესპუბლიკაში, მაგრამ უფრო დიდი ტერიტორია უკავია.

რა არ ხარობს აქ — ალოე, თირკმლის ჩაი, ჩიტ-ძაღლ-ყურძენა, კავკასიური დიოსკორეა, კატარანდუსი, ათობით სახის ტროპიკული ხე, ბუჩქი და ბალახი, რომლებიც სხვადასხვა დაავადებათა უებარი წამალია. ბევრი მათგანი ცხელი ქვეყნების ბინადარია და წარმატებით შეეგუა საქართველოს სუბტროპიკების პირობებს.

მეურნეობა ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის ბაზაზე შეიქმნა ამ ხუთი წლის წინათ. მას 1700 ჰექტარი ფართობი გადაეცა. აქ ახარებენ მსოფლიოს ქვეყნებიდან შემოტანილ სამკურნალო მცენარეებს და მათგან აწარმოებენ ძვირფას ნედლეულს, რომელიც ქვეყნის საათფთიაქო სამმართველოებს ეგზავნება.

მეურნეობის ორანჟერიები და პლანტაციები შავი ზღვის ახლოს, მდინარე ხობისწყლის ველზეა განლაგებული. ალოე და თირკმლის ჩაი ოდნავ სიცივეშიც კი იღუპება. ამიტომ მათ მინის სახურავქვეშ გამოზამთრებისათვის ნორმალურ ტემპერატურას უქმნიან.

ალოე 18 სათბურში იზამთრებს. თვითეული სათბურის საერთო ფართობი 1.200 კვადრატული მეტრია, მათ უმეტეს ნაწილში იგი მუდმივი ბინადარია, ნაწილი კი ცვიან გაზაფხულზე მინდვრად გააქვთ, რგავენ კარგად დამუშავებულ ნიადაგში, ხოლო სიცივეების დაწყებამდე კვლავ სათბურებში აბინავებენ.

ალოეს მოსავალს ღია ცის ქვეშ, წელიწადში სამჯერ, ხოლო სათბურებში ექვს-შვიდჯერ, და ათჯერაც კი იღებენ. მოსავალს ბათუმის ფარმაკოქიმიურ ქარხანას უგზავნიან გამოსახდელად. ქარხანა ალოეს წვენს 200-გრამიანი შუშით უშვებს, ნაწილს ოდესაში გზავნიან ამპულების სახით გამოსაშვებად. ალოეს სხვადასხვა სახის წვენებით მკურნალობენ კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულს, აგრეთვე გასტრიტით და კოლიტით დაავადებულებს. შარშან მეურნეობას ალოე 15 ჰექტარზე ჰქონდა გაშენებული. ფარმაცევტულ მრეწველობას გეგმიური 130 ტონის ნაცვლად 135 ტონა ნედლეული ჩააბარეს. წელს ალოე მეურნეობას 26 ჰექტარზე აქვს და მისგან სახელმწიფოს გეგმა-ვალდებულებით 225 ტონა ნედლეული უნდა ჩააბარონ.

ხუთ სათბურში გამოიზამთრა თირკმლის ჩაიმ. მისი სამშობლო ინდონეზიაა, სადაც ველურად ხარობს. ეს მეტად სათუთი მცენარეა, დაავადება ადვილად ეტანება, ამიტომ სითბოშიც კი გრუნტიდან ერთ მეტრამდე სიმაღლის საფეხურებზე შედგმულ რკინაბეტონის გობებში ამრავლებენ. ივლისიდან ოქტომბრის ბოლომდე ფოთლებს ხაზ ყლორტებიანად კრეფენ, ფარდულებში სპეციალური დანადგარებით აშრობენ და კრასნოგორსკის ფარმაკოქიმიურ ქარხანას უგზავნიან დასაფასოებლად, შემდეგ კი ქვეყნის საათფთიაქო სამმართველოებში დასაგზავნად.

თირკმლის ჩაის ნაყენი საშარდე ბუშტისა და კუჭ-ნაწლავის ანთებით დაავადებულთა უებარი წამალია. მასზე დიდი მოთხოვნილებაა. მეურნეობის დირექტორი აპ. გოგუა გვაცნობს შორეული ქალაქებიდან გამოგზავნილ წერილებს, სადაც ითხოვენ თირკმლის ჩაის. თუ შარშან მეურნეობამ ხმელი წონით 2,5 ტონა ჩაი დაამზადა, წელს 10 ტონა უნდა დაამზადოს.

ჩიტ-ძაღლ-ყურძენაც ტროპიკული მცენარეა. ორანჟერიებში ითესება მარტში, გამოჰყავთ ჩითილები და რგავენ ღია გრუნტში. იგი წელს 40 ჰექტარზე გააშენეს, საიდანაც გეგმით ხმელი წონით უნდა მიიღონ 40 ტონა ნედლეული. მისგან მზადდება კანის დაავადებებისათვის სამკურნალო მალამოები.

მრავალწლიანი სამკურნალო მცენარეებიდან ყურადღებას იპყრობს დიოსკორეა, რომელიც კავკასიის მთებში გვხვდება. იგი კოლხეთის ახალი ბინადარია და ნაჭაობარ მიწაზე კარგად იხარა, აქ იგი 4 ჰექტარზეა გაშენებული და ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ იძლევა ნაყოფს. მის ფესურებში არის წვენი, რომლისგანაც ათეროსკლეროზის საწინააღმდეგო წამლებს ამზადებენ.

საბჭოთა მეურნეობაში კულტივირებულია დეკორატიული და ველური ბალახები, რომლებიც ძვირფას სამკურნალო ნივთიერებებს შეიცავენ. მაგალითად, მედიკოსების ეფექტურ თანაშემწეებად იქცა ხარისშუბლა, ორკბილა, ჰიხჰარი, თავყვითელა და სხვები, რომლებშიც აღმოჩენილ ნივთიერებებს ნერვიულ და გულსისხლძარღვთა დაავადებებთან საბრძოლველად იყენებენ.

ევკალიპტის ხიკეთე საქვეყნოდ არის ცნობილი. მეურნეობაში ევკალიპტს ახმობენ, ფქვავენ და საათფთიაქო სამმართველოებში გზავნიან. მას რევმატიულ დაავადებათა სამკურნალოდ იყენებენ. მეურნეობაში შარშან პირველად დაინერგა ევკალიპტის ზეთის გამოხდა. დაიდგა სპეციალური დანადგარი. ერთი ტონა ნედლი მასიდან იღებენ ორნახევარ-სამლიტრ ზეთს.

ამჟამად ევკალიპტი 105 ჰექტარზეა გაშენებული. ხუთწლედის ბოლოს იგი 500 ჰექტარს დაიკავებს. აშენდება აგრეთვე ევკალიპტების ზეთის სახდელი ქარხანა.

მეურნეობის მუშაკები გულმოდგინედ უვლიან სამკურნალო მცენარეებს. განსაკუთრებით ტროპიკული მცენარე მოითხოვს ყოველდღიურ მზრუნველობას. სარეველებს ვერ იტანს. სასუქები ეგრ ოვადების ზუსტად დაცვით არის შესატანი. წვიმიან დღეებში, ზამთრის სუსხშიც სათბურებშიც მორწყვა აუცილებელია, სამკურნალო მცენარეებს გულმოდგინედ დასტრიალებენ თავს მეურნეობის დირექტორი აპ. გოგუა, მთავარი აგრონომი პ. ღადუა, ბრიგადირები ქ. არახამია, ალ. ჯობავა, შ. კიზირია, რ. ბერაია, მუშები ნ. ხაბურზანია, მ. დოლბაია, ლ. გვალია, მ. მირცხულავა, ტ. ბერაია, შ. ხოჭოლავა, ჯ. მურღულია და სხვ.

მეურნეობა დაარსების პირველი წლიდანვე რენტაბელური გახდა. მისი მოგება ყოველწლიურად სულ უფრო იზრდება.

სამკურნალო მცენარეების წარმოება უახლოეს წლებში სამჯერ და კიდევ მეტად გაიზრდება, ამით მეურნეობა ქვეყნის ფარმაცევტული მრეწველობისათვის ნედლეულის ერთ-ერთი მთავარი მიმწოდებელი გახდება.

## ჰექტრებს ბაღი

### სამკურნალო მცენარეების უნიკალური ჯიშები

გ. ნოდია,
„კომუნისტის" საკ. კორ.



ხობის რაიონის შუა ხორგის სამკურნალო მცენარეთა საბჭოთა მეურნეობის სათბურები.
შ. ჩხეტიანის ფოტო.

ჭადრაკი

## ჩიგორინის მემორიალი

მემორიალის დამთავრებამდე 5 ტური დარჩა.

მეათე ტურში მეტად საინტერესო იყო პირველი ადგილის პრეტენდენტების, დიდოსტატების პოლუგაევსკისა და ადორიანის (უნგრეთი) შეხვედრა. იგი საბჭოთა მოჭადრაკის უპირატესობით წარიმართა. გადადებულ პოზიციაში თუმცა მატერიალურად თანაბარი მდგომარეობაა, მაგრამ სპეციალისტების აზრით, ადორიანს გაუჭირდება მისი ხსნა.

ახლა პოლუგაევსკის 6,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს. მოსკოველი დიდოსტატი პირველ ადგილზეა. 5,5 ქულა მოაგროვეს დიდოსტატმა ცეშკოვსკიმ (ომსკი), საერთაშორისო ოსტატებმა ზაიცევმა (მოსკოვი) და სვეშნიკოვმა (ჩელიაბინსკი). ორივე საერთაშორისო ოსტატს დიდოსტატის წოდების მოსაპოვებლად დარჩენილ 5 ტურში 2,5 ქულის მოგროვება სჭირდება. 6 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს დიდოსტატ ადორიანს.

ჰოკეი

## კანადის თასზე

კანადისა და აშშ-ის საციგურაოებზე გრძელდება ჰოკეისტთა საერთაშორისო შეჯიბრება „კანადის პრიზზე".

მორიგ მატჩში საბჭოთა კავშირის ნაკრები ფილადელფიაში შეხვდა აშშ-ის გუნდს და გაიმარჯვა დიდი ანგარიშით 5:0 (3:0, 1:0, 1:0).

მონრეალში კანადელებმა წააგეს მსოფლიოს ჩემპიონთან — ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან — 0:1, ხოლო ვინიპეგში ფინეთისა და შვეციის ჰოკეისტთა მატჩი დამთავრდა ფინელების გამარჯვებით ანგარიშით 8:6.

ოთხი ტურის შემდეგ პირველ ადგილზეა ჩეხოსლოვაკიის ნაკრები — 7 ქულა, შემდეგ მოდიან კანადა — 6, სსრ კავშირი — 5, შვეცია — 3, ფინეთი — 2 და აშშ — 1 ქულა.

ფეხბურთი

## დღეს 4 მატჩია

„ა" კლასის უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის ოთხი მატჩი გაიმართება დღეს ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე. აი მოასპარეზენი: „არარატი"-„სპარტაკი", „დნეპრი"-„კრილია სოვეტოვი", „ზენიტი"-„დინამო" კ., „დინამო" მ.-„ზარია".

## ამინდი

გუშინ, 13 საათზე დასავლეთ საქართველოში უნალექო ამინდი იდგა. ყველაზე მეტი სითბო — 27 გრადუსი სამტრედიაში აღინიშნა. დანარჩენ დაბლობ რაიონებში 24-26, მთებში 19-23 გრადუსი იყო.

აღმოსავლეთ საქართველოშიც უმეტესად უნალექო ამინდი იდგა. დაბლობ რაიონებში 17-20, მთებში 12-18 გრადუსი აღინიშნა.

გუშინ, 13 საათზე თბილისში თერმომეტრი 20 გრადუსს უჩვენებდა.

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია უნალექო ამინდი, კოლხეთის დაბლობზე აღმოსავლეთის ქარი იქროლებს, ტემპერატურა — დაბლობ რაიონებში 25-30, მთებში 19-24 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში მცირე წვიმა და ნისლია მოსალოდნელი, მტკვრის ხეობაში აღმოსავლეთის ქარი იქროლებს. დაბლობ რაიონებში 20-25, მთებში 13-18 გრადუსი იქნება.

თბილისში მოსალოდნელია უმნიშვნელო წვიმა, ტემპერატურა — დღისით 23-25, ღამით 13-15 გრადუსი.

რედაქტორის მოადგილე
გ. გოგიაშვილი.

## ვ. ეპიტაშვილი



გარდაიცვალა 1944 წლიდან სკკპ წევრი, დაგეგმვის ღვაწლმოსილი მუშაკი, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის კრებსითი განყოფილების უფროსი, კოლეგიის წევრი ვახტანგ დიმიტრის-ძე ეპიტაშვილი.

იგი დაიბადა 1902 წელს ქ. თბილისში. შრომითი საქმიანობა საშუალო სასწავლებლის დამთავრებისთანავე დაიწყო. 1921-1931 წლებში გზების მშენებლობაზე შრომობდა, იყო მუშა, აღმრიცხველი, ტექნიკოსი, ინჟინერი, უბნის უფროსი.

1931 წელს ვ. ეპიტაშვილმა წარჩინებით დაამთავრა ლენინგრადის გზათა მიმოსვლის ინსტიტუტი; 1931-1945 წლებში მუშაობდა საქართველოს, ამიერკავკასიის ხეტყის და სსრ კავშირის ხეტყის მრეწველობის სისტემაში სატრანსპორტო ჯგუფის ხელმძღვანელად, კაპიტალური მშენებლობის განყოფილების, „ენგურქაღალდკომბინატის" მშენებლობის მთავარ ინჟინრად, ტრესტის მმართველის მოადგილედ. 1945-1956 წლებში ვ. ეპიტაშვილი ჯერ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგის მოადგილე, საგეგმო კომისიის თავმჯდომარე, საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე იყო, ხოლო შემდეგ პირველი მოადგილე. 1957 წლის იანვარში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ გადაიყვანეს. 1958 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე კი ვ. ეპიტაშვილი საგეგმო კომიტეტის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის კრებსითი განყოფილების უფროსი და კოლეგიის წევრი იყო.

ვ. ეპიტაშვილი წლების განმავლობაში არჩეული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად, საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრად და ბიუროს წევრობის კანდიდატად.

ვ. ეპიტაშვილის ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობა სათანადოდ დააფასა კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ. იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

კარგი მოქალაქის, თავმდაბალი და სპეტაკი მუშაკის ვ. ეპიტაშვილის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება იმათ გულში, ვინც მას იცნობდა და ვისთანაც უხდებოდა მუშაობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი.

## მოკლედ

**ჩოგბურთი.** ნიუ-იორკში მიმდინარე აშშ-ის ღია პირველობის მეოთხედფინალში 18 წლის მოსკოველმა ნატალია ჩმირიოვამ წააგო უიმბლდონის ჩემპიონთან ამერიკელ კრის ევერტთან — 1:6, 2:6.

**კრივი.** 32 ქალაქის 177 მოკრივე გამოვიდა ქალაქ იზმაილში დამთავრებულ ტურნირში, რომელიც დიდი რუსი მხედართმთავრის ა. სუვოროვის ხსოვნას მიეძღვნა. სხვადასხვა წონით კატეგორიებში გაიმარჯვა სამმა თბილისელმა მოკრივემ მ. ასლანოვმა, ს. პეტროსიანმა და ა. საკუაშვილმა.

**შაში.** პოლტავაში მიმდინარეობს სსრ კავშირის ქალთა მე-20 პირველობა. ტურნირს ლიდერობენ აზერბაიჯანელი სპორტის ოსტატი მ. იაკოვენკო, ოსტატობის კანდიდატები ზ. ბელკინა (ბელორუსია) და ს. ინგაუნიტე (ლიტვა) — 4,5 ქულა თვითეულს.

**ფეხბურთი.** ჰანოის (ვიეტნამი) „დინამოს" ფეხბურთელებმა უკანასკნელი, მეხუთე ამხანაგური მატჩი გამართეს ჩვენს ქვეყანაში, ამჯერად ცსკა-ს სათადარიგო შემადგენლობასთან. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს არმიელებმა.

## პირველი პროგრამით

### 13 სექტემბერი

10.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა: „ოჰ," და „აჰ" და „აბა, დამაცადე!". III და IV გამოშვება). ფერადი გამოსახულებით,
11.00 — „ცხოველთა სამყაროში",
12.00 — „კინომოგზაურთა კლუბი",
13.00 — მხატვრული ფილმი „თბილ ლუმელთან",
17.50 — „ცეროდენას ეკრანი",
18.25 — „ახალი სატელევიზიო სასწავლო წელი",
18.55 — „ვესტნიკი" — საინფორმაციო პროგრამა,
19.15 — ციკლიდან „პარტიის გეგმები — ხალხის გეგმებია" — „დავაჩქაროთ ტვირთბრუნვა, არცერთი მოცდენილი ვაგონი",
19.35 — კონცერტი ქუთაისის თვითმოქმედი კოლექტივების მონაწილეობით,
20.50 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა,
21.50 — კინონარკვევი,
22.00 — „ვრემია"—საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — „ახალი თეატრალური სეზონი", დასასრულ — ახალი ამბები.

### 14 სექტემბერი

10.30 — „ბავშვებს ცხოველების შესახებ",
11.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „წელიწადის დრონი",
11.55 — ქართული მხატვრული ფილმი „შემოდგომის მზე",
18.00 — მოსწავლეთათვის — კონცერტი,
18.30 — „დიდი ცხოვრების გზაჯვარედინზე",
18.55 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა,
19.25 — „ჩილეს შვილი". ჩილეს კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ლუის კორვალანის დაბადების 60 წლისთავის გამო,
20.00 — საერთაშორისო ტურნირი ჰოკეიში. პირველი ფინალური მატჩი. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა ტორონტოდან),
22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.35 — მხატვრული ფილმი „ლერწმის ტყე", დასასრულ — ახალი ამბები.

### 15 სექტემბერი

10.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „დავით გამრეკელი",
11.15 — მხატვრული ფილმი „სკოლის დირექტორის დღიური",
17.50 — მულტიპლიკაციური ფილმი,
18.15 — „პლანეტის ახალგაზრდობა",
19.00 — „ჩვენი მიმოხილვა",
19.25 — „საესტრადო პანორამა",
19.55 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა,
20.25 — „ესპანეთი. ჟამი ცვლილებებისა". ინტერვიუ ესპანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთან ამხ. მარსელინო კამაჩოსთან. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
20.40 — იაკობ ცურტაველი. „შუშანიკის წამება",
21.35 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „თბილი პური",
22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — ფეხბურთი „უეფას" თასზე. „აეკი" (ათენი) — „დინამო" (მოსკოვი). ტრანსლაცია ათენიდან. შესვენების დროს — ახალი ამბები.

### 16 სექტემბერი

10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „მუზეუმი ღია ცის ქვეშ",
11.15 — მხატვრული ფილმი „მეშვიდე ტყვია",
12.35 — ფილმი-კონცერტი „გზა პრემიერისაკენ",
12.55 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი,
17.50 — მულტიპლიკაციური ფილმი „თქვენი ჯანმრთელობა",
18.15 — საერთაშორისო ტურნირი ჰოკეიში. მეორე ფინალური მატჩი. I პერიოდი. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მონრეალიდან),
19.00 — „განვახორციელოთ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებები" — „მეცხოველეობა — სამრეწველო საწყისებზე",
19.25 — საერთაშორისო ტურნირი ჰოკეიში. მეორე ფინალური მატჩის II და III პერიოდი. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მონრეალიდან),
20.45 — „ამხანაგი ცედენბალი",
21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა,
21.30 — კონცერტი,
22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.35 — პირველად ჩვენს ეკრანზე მხატვრული ფილმი „როცა ქალი ცხენს შეკაზმავს". დასასრულ — ახალი ამბები.

### 17 სექტემბერი

10.30 — მხატვრული ფილმი „დიმიტრი კანტემირი",
12.15 — „მღერის და ცეკვავს ახალგაზრდობა" (გადმოცემა მოსკოვიდან),
13.15 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „თეთრი აგარაკი",
17.05 — მოსწავლეთათვის — ფრანგული ენა,
17.35 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ქართული კერამიკა",
18.15 — მოსწავლეთათვის — „მშობლიურ მხარეში",
18.55 — „საზოგადოებრივი აზრი და მართლმეცნიერება",
19.35 — ქართული დოკუმენტური ფილმი „დიალოგები" (პრემიერა),
19.55 — „70-იანი წლების ამერიკა". „ქალაქი პოტომაკზე". გადაცემა მეორე,
20.25 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა,
20.55 — „კინოს სამყაროში",
22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — სატელევიზიო დადგმა. დასასრულ — ახალი ამბები.

### 18 სექტემბერი

10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „პლიუს მე",
11.30 — „შევისწავლოთ ქართული ენა",
12.15 — მხატვრული ფილმი „თუ გინდა, რომ ბედნიერი იყო",
13.25 — „მუსიკალური აბონემენტი" — „რუსული რომანსი",
13.50 — „ჯადოსნური ეკრანი" (ქართული ენაზე),
14.10 — „ფოლკლორი" ღედანის „ნიმუში" ვამბეობით,
14.45 — ფერადი დოკუმენტური ფილმები: „ფაიფური და ფაიანსი",
15.25 — „მუსიკალური შეხვედრები". განმეორებით, „საბუდარი",
16.25 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა,
16.55 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის,
17.40 — გაზეთ „პრავდის" პოლიტიკური მიმომხილველის ი. ჟუკოვის საუბარი საერთაშორისო თემებზე,
18.25 — მულტიპლიკაციური ფილმები: „აბა, დამაცადე". — V, VI და VII გამოშვება. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
19.00 — „თბილისი და თბილისელები" — სატელევიზიო ჟურნალი,
19.30 — კონცერტი,
20.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა,
20.30 — მხატვრული ფილმი „გამარჯობა და ნახვამდის",
22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — საერთაშორისო ტურნირი ჰოკეიში. მესამე ფინალური მატჩი (გადმოცემა მონრეალიდან).

## [illegible] უჩვენებს თბილისი

### 19 სექტემბერი

10.30 — „მაღვიძარა",
11.00 — „შევისწავლოთ რუსული ენა",
11.45 — ბავშვებისათვის ქართული მხატვრული ფილმი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი",
13.30 — საჭადრაკო სკოლა",
14.00 — „კინოაფიშა",
14.30 — ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „გრენადის" კონცერტი,
15.00 — „ჯანმრთელობა — სატელევიზიო პროგრამა,
15.30 — „კინოს მოყვარულთათვის",
16.30 — მოსწავლეთათვის — „ჯადოსნური სალებავი". ფერადი გამოსახულებით,
16.50 — „დღეს — ტყის მუშაკის დღეა". სტუდიაში — სსრ კავშირის ხე-ტყის დამამუშავებელი მრეწველობის მინისტრი ნ. ტიმოფეევი. ფერადი გამოსახულებით,
17.20 — „შრომა და დასვენება" — სატელევიზიო პროფკავშირული ჟურნალი,
17.50 — კონცერტი,
18.20 — „ახალგაზრდობა" — სატელევიზიო პროგრამა,
19.00 — კინონარკვევი — „პასუხისმგებლობა",
19.10 — „მეგობრობა გზად და ხიდად — ყაზახეთი,
19.55 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა,
20.10 — ეკრანზეა ფილმები ჩარლი ჩაპლინის მონაწილეობით გადმოცემა მოსკოვიდან),
21.00 — „კინომოგზაურთა კლუბი",
22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.35 — საესტრადო გასართობი პროგრამა.

## ტელევიზია

### 11 სექტემბერი

#### პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „გიორგი მდივანი", 11.00 — „თქვენთვის, მშობლებო!" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — მუსიკალური პროგრამა „დილის ფოსტა" ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.00 — პირველად ჩვენს ეკრანზე მხატვრული ფილმი „ცისფერი გველის მხილება". ფერადი გამოსახულებით, 13.20 — ფ. ლეჰარის ოპერეტა „გრაფი ლუქსემბურგელი", 15.10 — იდეოლოგიური ბრძოლის წინა ხაზზე, 15.25 — ახალი დოკუმენტური ფილმები „ლეგენდარული პრესნია" და „ბრიგადის მეთაური ბოჟენკო", 16.05 — „ბუნებისა ვართ შვილნი". ფერადი გამოსახულებით (განმეორებით), 16.50 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.20 — „ჩემი სოფელი", 17.50 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.35 — „მარქსისტულ-ლენინური თეორიის აქტუალური საკითხები" — „სკკპ XXV ყრილობა საბჭოთა ადამიანების პატრიოტულ-ინტერნაციონალური აღზრდის შესახებ", 18.55 — „ახალგაზრდობა" — სატელევიზიო პროგრამა, 19.30 — „70-იანი წლების ამერიკა" ბოსტონის კონტრასტები" — ფილმი მესამე — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: „არარატი" (ერევანი) — „სპარტაკი" (მოსკოვი). მეორე ტაიმი. გადმოცემა ერევნიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის, 20.45 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.15 — „ფილმის დაბადება" ფერადი გამოსახულებით, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „სოპოტი-76". ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა პოლონეთიდან).

#### მეორე პროგრამით

18.05 — „ცეროდენას ეკრანი". ფერადი გამოსახულებით, 18.35 — ქართული მხატვრული ფილმი — „შემოდგომის მზე". ფერადი გამოსახულებით.

## თეატრები

### 11 სექტემბერი

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — კავკასიური ცარცის წრე (სეზონის გახსნა); ახალგაზრდული დრამატული თეატრი-სტუდია (მეტეხის ტაძარში) — უბედურება.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ




## ბორჯომის საექსკურსიო-სამგზავრო ბიურო

ხაშურის, ბორჯომის, ადიგენის, ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონების მშრომელებისათვის აწყობს მოგზაურობას ტურისტულ მატარებელ „საქართველოთი" შუა აზიის ქალაქებში 25 ოქტომბრიდან 17 ნოემბრამდე შემდეგი სვლაგეზით: ბორჯომი — ვოლგოგრადი — კუიბიშევი — ორენბურგი — ალმა-ატა — ფრუნზე — ტაშკენტი — ფერგანა — სამარყანდი — ბუხარა — დუშანბე — აშხაბადი — ჩარჯოუ — ვოლგოგრადი — ბორჯომი.

საგზურის ღირებულება 230 მანეთია.

ტურისტული მატარებელი „საქართველო" შედგება 10 ნახევრად რბილი და 3 ვაგონ-რესტორნისაგან.

საგზურის ღირებულებაში შედის მგზავრობა, სამჯერადი კვება ვაგონ-რესტორნებში და საექსკურსიო მომსახურება ქალაქებში.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ ბორჯომის საექსკურსიო-სამოგზაურო ბიუროს შემდეგი მისამართით: ქ. ბორჯომი, ვაშლოვანის ქ. № 50, ტელ. 2-13-13, 2-05-05, 2-21-42.


ვინ ატყუებს მომხმარებელს

## სხვის ჯიბეში...

უკანასკნელ წლებში ტყიბულის სავაჭრო ქსელში გადამჭრელი ღონისძიებები განხორციელდა სავაჭრო მომსახურების გასაუმჯობესებლად. მაღაზიებიდან და საზოგადოებრივი კვების ქსელიდან განდევნეს ისეთი პირები, რომლებიც შეპყრობილი იყვნენ გამდიდრების სურვილით და ყოველგვარ ბოროტებას ჩადიოდნენ, ოღონდ ხელი მოეთბოთ, ჯიბე გაესქელებინათ.

ახლა, როცა შეურიგებელი ბრძოლაა ფასდამახინჯებათა წინააღმდეგ, სამწუხაროდ, აქა-იქ დღესაც ვხვდებით უპატიოსნო დახლიდარებს, რომლებიც ძველებურად განაგრძობენ საქმიანობას, ამახინჯებენ ფასებს, მომხმარებელს აკლებენ ზომა-წონაში. აი, ისინი, ვინც ატყუებს მომხმარებელს.

ნარგიზა ოთარის ასული ბოჭორიშვილი. იგი ჭიათურის კომბინატის მუშათა მომარაგების განყოფილების №22 სასურსათო მაღაზიის გამგედ მუშაობს. აგვისტოს ბოლო დღეებში მან მინდობილობით წყალტუბოში ერთი ავტომანქანა პამიდორი მიიღო და გეზი მეშახტეთა ქალაქისაკენ აიღო. ქუთაისს რომ გამოსცდა, თავში ბოროტმა აზრმა შეუღიტინა: ნარგიზამ ტკბილი სიტყვით დაითანხმა უნებისყოფო მძღოლი და ავტომანქანას თავი სოფელ ცუცხვათში ამოაყოფინა. გამყიდველმა დაატრიალა მარიფათი და კილოგრამი 12-კაპიკიანი პამიდორი სულ 20-20 კაპიკად გაყიდა. მოქალაქე რ. ბრეგაძეს 60 კილოგრამ პამიდორში ნაცვლად 7 მანეთი და 20 კაპიკისა, ზუსტად 12 მანეთი გადაახდევინა. ე. ი. 4 მანეთი და 80 კაპიკი ზედმეტი წაჰგლიჯა, ხოლო კოლმეურნეებს ჯ. კუპრაშვილს, მ. ბრეგაძეს, ა. გოტიაშვილს ხელმრუდე გამყიდველმა თვითეულს ზედმეტად 2 მანეთი და 40 კაპიკი ააცანცლა.

სამომხმარებლო კოოპერაციის ახალსოფლის სასადილოს მებუფეტემ ო. ქუმსიშვილმა მომხმარებელ ო. ოდილაძეს სადილის კერძებში ზედმეტად 5 მანეთი გამოსტყუა. ამავე სავაჭრო ორგანიზაციის სოფელ ჯუჯრნის პურის საცხობის გამგემ გ. ხარატიშვილმა პურის ფქვილი, ნაცვლად იმისა, რომ მისგან ლავაში დაეცხო, ბითუმად გაასაღა და უშრომელი შემოსავლის კარგი წყარო გაიჩინა, თან პურის ცხობის გეგმაც შეასრულა და სიყალბის გზით საუკეთესო მცხობელის სახელი მოიპოვა. მაგრამ კოკამ წყალი ვერ მოიტანა. მეპურე დანაშაულზე მაშინ წაასწრეს, როცა ორ ტომარა (140 კილოგრამ) ფქვილში ორპირის კოლმეურნეობის მძღოლს ო. გიორგაძეს ნაცვლად 37 მანეთისა და 80 კაპიკისა 43 მანეთი გადაახდევინა.

სოფელ დაბაძველის შერეული მაღაზიის გამგემ ა. გელაძემ ვაჭრობის სულ სხვა „მეთოდი" აირჩია. მან დახლში თავისი გაჭაღარავებული დედა, რკინიგზის გადასასვლელის დარაჯი გოგუცა გელაძე ჩაისვა, მომხმარებელთა გაძარცვის გზები ასწავლა. დედამ, ნაცვლად იმისა, რომ გათავხედებული შვილისათვის ჭკუა ესწავლებინა, წესიერებისაკენ მოეწოდებინა, რაც ყველა მშობლის უპირველესი მოვალეობაა, ნურას უკაცრავად, პირდაპირ უთოფო ყაჩაღობა დაიწყო და სოფლის მცხოვრებლებს, რომლებიც ალიონიდან დაბინდებამდე ჩაის პლანტაციებში და სიმინდის ყანებში ოფლს ღვრიან, ყველაფერში ზედმეტს ახდევინებდა. მან ერთ-ერთ მყიდველს, მიწისქვეშა სანგრევის მუშას ზ. ფართლაძეს შვიდი დასახელების სამრეწველო და სამეურნეო დანიშნულების საქონელში ზედმეტად საკმაო თანხა — 6 მანეთი და 32 კაპიკი დაატოვებინა და ოჯახის ყულაბაში გადაუძახა. როცა დანაშაულზე წაასწრეს, სულ თავში ხელი იცა, თან თავს იმართლებდა, რა ვქნა, შევცდი, მე ხომ ვაჭრობის მუშაკი არა ვარ, ფასებში ვერ გავერკვიეო, მაგრამ გვიანღა იყო თითზე კბენანი. ახლა სიტყვა მართლმსაჯულებას ეკუთვნის.

რესტორანი „გელათი" ცნობილი ისტორიული ძეგლის — გელათის მონასტრისაკენ მიმავალ ტურისტულ გზაზე მდებარეობს. აქ უამრავი ტურისტი და მოგზაური სადილობს. მათ აქ გემრიელი კერძებით ემსახურებიან, მაგრამ ხშირად ბევრი მათგანი უკმაყოფილო, ხასიათგაფუჭებული ტოვებს რესტორანს. ამის მიზეზი ზოგიერთი უპატიოსნო თანამშრომელია, რომელიც უკანონო საფასურის გადახდევინებით გუნებას უფუჭებს და თან ჯიბეს უცარიელებს შორეული კუთხეებიდან მოსულ დამსვენებლებს. ერთ-ერთი იმათგანია გაქნილი მებუფეტე ვერა პეტროვა, რომელმაც გელათის ძეგლის მშვენიერებით ნასიამოვნებ ტურისტს გუნება წაუხდინა, სადილში 6 მანეთი და 71 კაპიკი აჰპანა.

ბოროტმოქმედთა გზა მოკლეა. ყველა სინდისგარეცხილი, ფასების დამმახინჯებელი ვაი-მუშაკები მთელი სიმკაცრით აგებენ პასუხს საბჭოთა კანონის წინაშე. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ტყიბულის მუშათა მომარაგების განყოფილებისა და სამომხმარებლო კოოპერაციის სავაჭრო ქსელში ნამდვილი წესრიგი უნდა დამყარდეს.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.
ქ. ტყიბული.


კომუნისტი

380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეები—99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, ხაზდივნისო — 99-66-10, განყოფილებები: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 60443

უა 14007

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14